

ပုဂ္ဂနတ်ဒေဝါရီမြို့

ს ა ბ ა - ს უ ლ ს ა ნ

ԹԵՐԱՎԱԾՈՒՅՆ

1. წინასიტყვაობა 2. ბიოგრაფია 3. რჩეული იგავები და არა-კები „სიპრამნე-სიცრუის“ წიგნიდამ ძნელის სიცყვების გან-მარტივებით.

ଦୀର୍ଘବୃକ୍ଷ ଶାସନମଳି.

ତେବୁଟିକା

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପାଠ ଶାର୍କୁଷ୍ମିନିତି.



Дозволено Цензурою Тифлисъ, 15 Октября 1886 г.

წინა-სიტყვაობა.

ქართულის ენის შესწავლა არ არის ჩეენში დიდ წარმარებაში. თავი და თავი მიზეზი ამ მოვლენისა გახლავთ სახელმძღვანელო წიგნების უქონლობა. რაკი გასცდებით, ბატონებო, „ღეღა-ენას“ და „ბუნების კარს“ მერე აღარ იცით რას მოჭიდოთ ხელი სასწავლებლიად. ჭვარდებით ისეთს მდგომარეობაში, რომ როგორც იტყვიან „ХОТЬ КАРАУЛЪ ЕРИЩИ.“ ერთად-ერთი მართალი და ცხოველი წყარო ენის შესწავლისა-თვის—საუკეთესო მწერალთა ნაწერები—დახშულია ჩვენთა ყრმა-თავის. აი მთავარი მიზეზი მისი, რომ დღეს არავინ არ ვიცით ქართული ენა. იქნება ბენის ზოგიერთმა: რა უშლით, რაცომ ჩვენი მწერლების თხზულებებს არ შეასწავლიანო? მიზეზი ორ გვარია. პირველი, რომ უველა ჩვენი მწერლების ნაწერები არ არის შეკრებილი და დაბეჭდილი. მეორე, რომ შეეძლებელია მწერლის სრული თხზულების მიცემა ხელში მოწაფეთათვის, რადგან მწერალს მარცო ჰატარებითვის არ უწერია თავისი წიგნი და შიგ ჭვერებთ ისეთს ნაწარმოებთ, რომელიც არ წაუკითხებათ ყრმათ. მაგალითებრ, როგორ წაეკითხება ყრმას ამ გვარი ლექსები: „გახსოვს, ცურდავ, ჩვენს დიდს ბალში...“ „არავისთვის მე დღეს არა მცალიან, სალომესთან სადიღათ მეძახიან...“ „საამო არს სანახავი, ღდეს გარდი ნინას ეპურას...“ „გითა ჰეჭელა, არხევს ნელ-ნელა“ და სხვები; ან „ქაცვია მწერემსი“ დ. გურამიშვილისა.

III

მეორე და მძიმე საბუთი ის გახლავთ, რომ მწერლების ნაწერთა კრებულები ძვირათა ლირან და მით შეუძლებელნი ხდებიან ყოველის მოწაფისთვის მოსაპოვებლად. მაგალითებრ, დავით გურამიშვილის ლექსები ერთი მანათი ლირს; „სიბრძნე-იცრუის“ წიგნი ათი შაური და სხვებიც ამ გვარადვე.

თუ ავტონთ გონების სასწარზე ყოველსავე ამას, ნათლად მივწვდებით, რა ასებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ისეთს ია თუ წიგნებს, რომლებიც მოგვცემუნ ჩვენთა მწერალთა რჩეულს ნაწარმოებებს. მაგრამ ესეც კიდევ ცოტაა. დღესაც ასებობენ, თუმცა ძალიან ცოტა, ამ გვარი ია თუ გამოცემანი მაგალით., არის ცალკე გამოცემული „განდეგილი“, „მეთე დომიცრი თავ-დადებული“. „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვრებიდამ...“ და მეტიც აღარ, ვგონებთ. ეს წიგნებიც ვარ აღწევენ თავის მიზანს. ენის უეჭავლისათვის დანიშნულს გამოცემას უემუშავებაც უნდა და არა კმარა რომელთამე ნაწარმოებთა მარტო აღმეჭდა.

ჩვენ განვიძრახეთ უევავსოთ ზემო აღნიშნული ნაკლი ჩვენის ლიტერატურისა. ამისათვის დავიწყეთ ამ წიგნით ჩვენის მწერლების გამოცემა სათაურით „ქართველი მწერლები“. დავიწყეთ ძელის მწერლებიდამ და პირველიად უევჩერდით საბასულხან რობელიანზედ, როგორც მწერალზედ, რომლის ნაწარმოები უფრო მეტად, უედარებით სხვა ძველს მწერლებთან, აღვილ-საკითხავნი და გასაგები არიან. ამ მწერლის გასაცნობლად საფუძვლიანად ქართულის ენის გაკვეთილზედ, საკმარისია იქმნან წაკითხულნი და გარჩეულნი აქ ამოკრეფილნი იგავნი და ზღაპარნი. ყოველს ძნელს სიცუვას, რომელსაც კი ვინმე უეჭკვდება ამ წიგნის კითხვის დროს, მივეცით იქვე, სხლიოში განმარტება, ახსნა. წიგნს წაემძღვარეთ ბიოგრაფია

ავტორისა, ცნობები სხვა მისს ნაწერებზედ და მოკლე შინა-არით „სიპროგნოს“ წიგნისა.

ამ სახით გამოცემული ჩვენთა საუკეთესო მწერალთა ნა-წერები ჩვენის აზრით 1) დიდად დაქმარებიან ქართულის ენის მასწავლებელს ენისა და ლიტერატურის უკიდურის სწავლებაში, 2) მისცემენ ხალხს საუკეთესო, სასარგებლო და იაფს საკითხავს წიგნებს და 3) მსურველთ—ელე-მენტარულს ლიტერატურულს განათლებას.

ამ გვარი გამოცემანი რუსულს ენაზე ძალიან გავრცე-ლებულნი არიან („Русские писатели для школы,“ под редакц. Острогорского, „Русские писатели въ классѣ,“ изд. Петра Вейнберга და სხვ.), როგორც ყრმათათვის საკითხავი წიგნები, და შეგნებული ნაწილი რუსის პედა-გოგებისა დღეს იმ ჭარისანი შეიქმნენ, რომ ასეთის წიგნე-ბის ხმარება სჯლბია „ქრისტომატიების“ ხმარებას. მართლაც და ქრისტომატია, რაც უნდა კარგად და ხერხიანად იყოს შე-დგენილი იგი, რას აძლევს მოწაფეს? საკუწის ამ მწერლისას, ნაჭერს მისას, მოგაჩვენებთ ყველასას და არაფერს დასრულე-ბულს და დამთავრებულს-კი არ გაძლევთ. შეიძლება ოცი ქრი-სტომატია გაიაროთ და ვერც ერთს მწერალს ვერ იცნობდეთ.

მიხეილ ნასიძე.

ქართველი ენერგეტიკი

III

ხელთემდევანელი ჭიბნი ქართულის ენისა და
ლიტერატურის შესწავლისთვის.

ვახტანგ გევარა

მახეიძე ნასიმაშვილი.



Типография Гр. Чарквиани въ Тифлисѣ.

სკამა გრ. ჩარკვიანისა თავდაცსა.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 6-го Февраля 1887 г.

ევფე ვახტანგ მე VI-ე.

ერთი მეფე, თურმე, ყოფილა და ოცდა-ათი ვაჟი ჰყოლია. სიკვდილის დრო რომ მოუახლოვდა, დაუძახა შვილებს, მოატანინა ოცდა-ათი ისარი, შეკრა ერთად და მოიზიდა გასატეხად, მაგრამ ვერ გატეხა. მერმე თითო-თითოდ მოიზიდა და სულ დამტერია. შთხრა შვილებს: „თუ რომ ერთ-პირზე იქნებით, ერთმანეთი გეყვარებათ და ერთმანეთისთვის არას დაიშურებთ, —მტერიც ვერ გაგტეხთ; თუ გაიყრებით და ერთმანერთს არ უშველით, მტერი ესრეთ თითო-თითოს დაგლეწავთ“. მს იგაუი, თითქოს განგებ, ქართველობაზედ მოუგონიათო, ისე უმეტ-ნაკლებოდ უხდება ჩვენს წარსულს ცხოვრებას. მთლად ჩვენი ისტორია არის ამ გვარი იგავი. მართლათაც და ვიდრე ქართველობას ჰქონდა ერთმანერთის, მამულისა და მეფის სიყვარული, სკოცორებდა კიდევ მშეიდობით და იდგა წარმატების გზაზედ. მს ბეღნიერი დრო იყო X, XI და XII საუკუნეები. მაშინ ჩვენი წინაპარნი ძლიერნი ყოფილიან შინა და გარეთა. „მამულის შემუშავება, ტეხნიკური ხელოვნება გავრცელებული იყო ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ვხედავთ ახლაც მრავალს ნა-

შთს არხებისას, კლდეებში საურმე გზებისას, მთებში და უღაბურს ადგილებში ეენახებისას, სასახლებისას და ეკლესიებისას. სხვა არა იყოს-რა ძველი ეკლესიების მშენიერი სხვა და სხვა მრავალ-გვარი არხიტეკტურული ხელოვნება ცხადათ ამტკიცებს, რომ ჩვენი წინაპარნი ოდესშე განვითარებულნი ყოფილან ცოდნით და შრომის მოყვარეობით. ისინი გონებით გახსნილნი და მეცნიერების მიმყოლნი იყვნენ. მაშინ ჩვენი ერი რიცხვით დიალ მატულობდა, ასე რომ ეპურა ადგილები, რომელნიც ახლა ან გავერანებულნი არიან, ან უცხო ტომთ უჭირავთ. მაშინ უცხო სამეფოთაგან საქართველო პატავცემული იყო და მთელს აზიაში შემძლე სამფლობელოდ ირიცხებოდა. მტერი ან ვერა ჰმედავდა იმასთან შებრძოლებას, ან ხშირად იძლეოდა.« *)

ხოლო შემდეგ შინაურმა განხეთქილებამ, ურთი-ერთ შორის ბრძოლამ, საზოგადო ინტერესების წინააღმდეგმა მოქმედებამ ექვსის საუკუნის განმავლობაში ამოკვეთა საზოგადოებისა და მამულის სიყვარული, დამხმა ზნეობა და დაარღვევა შინაური კავშირი. ამ გვარს დაცემაში, რასაკეირველია, ჩიენს მეზობლად ძყოფი მაჲმადიანი სალხები დიდს მონაწილეობას იღებდენ: იმათ ხელს აძლევდა

*) დ. ჟავრაძე.

შინაური ჩხუბი და ამბოხება ქართველებისა. შათ დაუძლეულებული და მისუსტებული ქვეყანა იგდეს ხელთ და რასაც ისურვებდენ, იმას ჩადიოდენ. სას-ხლის ლერა, შური, ღალატი, ძმის მოკელა ჩვეუ-ლებრივ ამბებად გადიქტა, და ჩვენი მეფენი და თა-ვადები ცდილობდენ ერთი მეორესთვის ეჯობნებო-ნათ ამ გვარ საქციელში. აი ერთი ამბავიც, ისეთი აშპავი, რომელიც იშვიათი არ იყო ჩვენში. „მე XVII საუკუნის გასულს ქართლში მეფობდა სვიმონი; იმას ჰყავინდა ძმა დავითი. დავითმა თეითონ მო-ინდომა მეფობა, წავიდა სპარსეთს, დაუკრა თავი შაპ-თამაზს, მიროვ მაჭმალიანობა, დაირქვა სახელად დაუდ-ხანი და დაბრუნდა საქართველოში ხელ-მწიფედ სპარსეთის ჯარით; ასტუდა ძმებში გან-ხეთქილება და შეუწყეტელელი ბრძოლა“. *) ამ გვარი მაგალითებით სავსეა ჩვენი ისტორია მე XII საუკუნოდამ მოკიდებული მე XIX-მდე.

ასეთს გარემოებაში ჩაყენებული მარტო კაცი, რაც უნდა კეთილი ჰსურდეს, ვერას გააკეთებს, ვერ შეაყენებს მოზღვავებულს მიმდინარეობას საზოგა-დოებისას უფსკრულისაკენ; მეტის მეტად კუკუმე-თია ეს წყვდიალი, რომ ერთს ვარსკვლავს შეეძლოს მისი განათეპა. ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც

*) დ. ბაქრაძე.

ბრალიაო. ამიტომ არ უნდა გვიკეირდეს, რომ იმ ერთ-ორ კეთელ-მოღვაწე კაცთ შრომამ, რომელ-ნიც ამ დროებაში დაებაზნენ საქართველოს, სულ მუქთად ჩაიარა თანამცდროვე საზოგადოებისთვის და პირ იქათ თვითაც შეიქმნენ შსხვერპლნი ამ საზოგადოებისა. ასეთ ვარსკვლავად გამოანათა მე XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფემ ვახტანგ მე VI ებ.

ვახტანგ მე VI-ი დაიბადა 1675 წელს. მაშა ვახტანგისა ლევანი ორჯელ იყო დაქორწინებული: პირველს ცოლთან, ზურაელის ქალთან თუ-თასთან ჰყვანდა სამი ვაჟი: მაიხოსრო, ვახტანგი და დომენტი და ერთი ქალი ხვარამზე; მეორე ცოლთან, ავალიშვილის ქალთან, ჰყვანდა: იაკე, სკიმონი და თეიმურაზი.

ქართლში ამ დროს იჯდა მეფედ ბიძა ვახტან-გისა ზორბეგი XI-ე. ზორბეგის და ძახეთის მვართ-ველს ქაბ-ალი ხანს შეტაკება მოუნდათ და პირ-ველი დაბარცხებულ იქმნა. ამის შემდევ ზორბეგი წაეიდა სპარსეთში, საჯაც უაპ-ჭუსეინმა ვახტანგის მამა ლევანიც გაითხოვა. მალე ამ ორთ მეფეთ ისახელებს თავი და შახის წყალობა დაიშვახურეს. საქმე ასე იყო. სპარსეთს აეშალნენ ბელუჯი და ავღანენი; ისინი არაედენ სპარსეთს და რაშედენ

ჯარიც კი გაგზავნა შახმა საომრად, ყველა დამა-
რცხებული დაუბრუნდა. მაშინ ზიორგი მეფე იქმნა
დანიშნული მთავარ სარდლად. შეკრიბა ზიორგიმ
ჯარი ქართველთა და სპარსთაგან, გაირა უდაბნო
და უწყლო ადგილები, რომლებიც გზაზედ ვდო,
მსწრაფლ და მიადგა მტერს. უკანასკნელი გამა-
გრდა ერთს კლდე-გორიან ადგილებში. მაშინ
გაყო ზიორგიმ ჯარი: ცალ მხრივ გაისტუმრა ლე-
ვანი ქართველებით და მეორეს მხრივ მოუარა თეი-
თონ სპარსელებით, მიიტანეს იერიში მტერზედ და
შემუსრეს იგი. დაბრუნდენ უკან გამარჯვებულები
და იქმნენ დიდად დაჯილდოებულნი შახისაგან.
ისარგებლა ზიორგიმ შახის მოწყალებით და სთხო-
ვა მას, რომ ქართველის მეფედ დაესვა ლევანის
შვილი ახალგაზდა ვახტანგი. თუ ჩვენ არ შევეწი-
ვენით, ვახტანგი რუსეთს წავა უეჭველადაო, დაუ-
რთო თხოვნას ზიორგიმ. შაჰი დასთანხმდა. ქართ-
ლი დაუბრუნა ზიორგი მეფეს, ხოლო, ვიდრე იგი
დაბრუნდებოდა, ქართლის გამგედ დანიშნა ვახტან-
გი. მეტ ამბავი მოჰქმდა 1703 წელს. ვახტანგი იყო
ამ დროს 28 წლის ვაჟკაცი, იგი იყო მშენებელი,
მუშაკი, უხევი და მშეიღი, ხოლო მრისხანეც, როცა
ეს იყო საჭრო; სამლედელოთა პატივის-მცემელი,
ობოლთა და გლახაკთა მიმცემი, ეკლესიათა მაშე-
ნებული.

ვახტანგმა განახლა თბილისის სიონის გუმბათა, შეამკო სეეტის-ცხოველი, ააშენა შრპნისის ციხე, გასჭრა არხები შარაიაზე და მრავალ სხვა ადგილებში, ააშენა თბილისში მშვენიერი სასახლე. დაბრუნა ტყეებსა და მთებში შეხიზნული ხალხი, მოსპოტ ტყვეთა გაყიდვა. თავისი მოკლე ხანი მეფობა მრავალის კეთილის საქმით დააგვირევინა და გახდა უკვდავი საქართველოს ისტორიაში და დაუვიწყარი ქართველთაგან. დაარსა პირველი სტამბა თბილისში და იწყო წიგნების ბეჭედა. ამ დროს პირველად დაიბეჭდა ქართულს ენაზედ დაბადება და „ვეფხვის-ტყაოსანი.“

დაარსა სკოლება მონასტრებთან, შეუმსუბუქა ხალხს ხარჯი. დიდი სამსახური გაუწივა ქართველობას ვახტანგმა სამოქალაქო კანონების შედგენითაც. მა კანონები ვახტანგის სჯულად იწოდება. შრომის ისტორიკოსის თქმით, ვახტანგმა, გააჩინა რა სამართალი, დაჯდის ხოლმე ოთხშაბათობით და პარასკეობით სამდივნოში და აძლევდის ერს სამართალს მცირეთა და დიდებულთა განურჩეველად. ჭესიერებისა და სიმართლის აღსაღვენად მეფემ გამოსცა მალე სხვა კანონმდებლობითი წიგნიც „დასტურლამალი“. მა წიგნი განუწესებდა მოხელეთ, რა წესითა და რაგვარად უნდა მოქცეული-

უკან თანამდებობის აღსრულების დროს; იგი შეიცავს რიგს, რა გვარად უნდა ემსახურნათ მოხელეთა მეფის კარისათვის, რა სახელმწიფო შემოსაცლიდამ რა უნდა აელოთ და როგორი ურთიერთობა ჰქონოდათ ერთმანეთში და სხვა.

არ გასულა სულ 6 წელიწადი ვახტანგის შმართველობისა, რომ დიდებულის მეფის გულს ორი სიმწარის ლახვარი ეცა სპარსეთიდამ. ჯერ იყო და მოუკლეს საყვარელი ბიძა ზორბეგი მეფე 1709 წელს; ახლა 13 ივნისს იმავე წლისას მოუკლა მამის სიკუდილის ამბავი. ამის შემდეგ, თითქმის, სულ უკულმა დატრიალდა ვახტანგისა და შართლის ბედის ჩარხი. ზარემოებათა ვითარებამ და თანამედროვე საზოგადოებამ იმსხვერპლა დიდებული მეფე, შესწყვიტა სათავეშივე განათლებული მზრუნველობა ვახტანგისა მამულისათვის.

სპარსეთის შახი უკმაყოფილო იყო ვახტანგზე იმის გამო, რომ ის სცდილობდა საქართველოში შართველების ამაღლებასა და სპარსელების დამცირებასა. საქართველოში მყოფნი სპარსი ასმენდენ ვახტანგს შახთან და ათას გვარს ცილსა სწამებდენ. ვახტანგმა ნება მოითხოვა შახთან ხლებისა, ცოლშვილი გორს გავზაენა, შართლის გამგეობა თავის ძმა სვიმონს ჩააბარა და 22 აპრილს 1712 წელს

გაემგზავრა სპარსეთს. თან ახლოდნენ ერთის ცატო-
რიკოსის თქმით 300 და მეორის 3000 კაცი.
შახის კარს ვახტანგი დიდის პატივის-ცემით მიიღეს,
დიდი მეჯლისი გაუმართეს, მაგრამ იმავე დროს მე-
ტად მწარე სიტყვაც გადუგდო შეენმა: თუ მაჰმა-
დიანობას არ მიიღებ, მართლის ტახტს ვეღარ იხი-
ღებო. ვახტანგმა ყველა ცილი-წამებაში იმართლა
თავი შეენის წინაშე, ხოლო უკანასკნელს მის პი-
რობაზედ უთხრა: მე აქ გასამაჰმადიანებლად არ
ჩამოვსულვარ, გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიან-
ნი და რომელიც გნებავს გაგზავნე მართლშიო.
ზამაჰმადიანებულს ძმას ვახტანგისას იასესაც მხო-
ლოდ ეს უნდოდა. მან გამობთხოვა შახს სამეფო
ტახტი და თან აღუთქვა, რომ ვახტანგის ცოლ-
შვილს და 500 დარჩეულს ქართულს ოჯახს ტყვედ
მოგართმევო.

უზნეო და უხასიათო იასე აბძანდა მართლის
ტახტზედ, მაგრამ ქართველნი და მათი საჭიროე-
ბანი იმას ფეხებზედ ეკიდა; ის მიეცა ქეიფებს და
სამარცხეინო დროს გატარებას. შახსაც დაპირება
ვერ შეუსრულა, რადგან ვახტანგის ცოლ-შვილი
რაჭაში წაეიდა და 500 ოჯახის გაძევებაც ადვილი
საქმე არ იყო. შახი ამის გამო უკმაყოფილო შეი-
ქმნა იასეზედ და ერთხელ კადევ მისცა ვახტანგს
წინადაღება მიეღო მაჰმადიანობა და დაბრუნებუ-

ლიკო სამშობლოში მეფედ. ძრელ სამძიმო იყო ვახტანგისთვის რჯულის შეცვლა, მაგრამ სამშობლოს უბედური მდგომარეობა უცეტესად უწყლავდა გულს. პმიტომ ვახტანგმა არჩია გარევნულად მაინც მიეღო ისლაში და მოშეველებოდა ქართლს.

1719 წელს ვახტანგი დაბრუნდა ქართლის მეფედ. ხალხმა დიდის სიხარულით მიიღო ბრძენი შეფე. ვახტანგმა მოსვლის უმაღლ პირველად მიაქცია ყურადღება ქართლის გარეშე მტრებს — ლეკებს და ამოაკვეთინა წანწალი მოუპატიუებელ სტუმართ ქართლში. შემდეგ შეუდგა შინაურ საქმეებს, მაგრამ გარემოებამ კვლავ უვდო მახე და შეწყვიტა სამუდამოდ მისი კეთილი საჭახური მოძმეთათვის.

1722 წელს რუსეთის მეპერატორმა პეტრე დიდმა დაიპყრო დერბეზი, რომელიც შახის სამფლობელოს ეკუთვნოდა. მეორე წელიწადს რუსთ აიღეს ბაქო, ასტრაბადი და სხვა ქალაქები და დაპები სპარსეთისა. შახი ამის გამო ძრიელ განურისხდა ვახტანგ მეფეს და იმას დაბრალა რუსების შემოსევა და გამარჯვება. არც სრულიად უსაბუთო იყო შახის საყველური და ეჭვები. ქართლის მეფეები და თავადები, შეწუხებულნი შაჰმაღიან ხალხებისაგან, ხშირად სთხოვდენ ერთ-მორწმუნე რუსთ ხელმწიფებს შველას, დახმარებას; დაწყობილი მე XV საუკუნი-

დამ რუსეთის გაელენა ნელ-ნელა შემოდიოდა ჩვენ-ში და ეს, რასაკვირველია, თამური არ იყო სპარს-თათვის.

განრისხებულმა შახმა გამოუგზავნა ჯარები და მოსწერა ქახეთის მეფეს მაჰმად-შული ხანს (ქონსტანტინე მე II-ეს), წაერთვა ქართლი ვახტან-გისათვის და განედენა იქიდამ. ბძანება ესე ყევ-ნისა შესრულდა. ვახტანგი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა საყვარელი სამშობლო და წასულიყო რუსეთს, სადაც იმპერატორმა პეტრე დიდმა მიი-წვივა.

ამ ჩიგად 1724 წელს საქართველო გამოე-თხოვა სამუდამოდ მეფეს, რომლის მსგავსი ქართვე-ლობას არ ენახა დიდის იამარის შემდეგ. ვახტანგი გადასახლდა რუსეთს და თან წაიყვანა თავისი ჯა-ლაბობა, 5 ეპისკოპოსი, 5 დეკანოზი, 6 ბერი, და 1400 კაცი თავად-აზნაურობა და გლეხობა. ვიდრე ვახტანგი პეტერბურგს მივიდოდა იმპერატორი პეტრე დადი გარდაიცვალა. იმპერატრიცა მედე-რინე 1-მა დაასახლა ქართველობა რუსეთში და ყველას საზრდო დაუნიშნა. მალე მეფე ვახტანგი დანიშნულ იქმა რუსეთის ელჩად სპარსეთში. იყო კიდევ ერთხელ მეფე სპარსეთში და დაბრუ-ნებისას გარდაიცვალა ქ. ასტრახანში 1730 წ. სადაც იქმნა დასაცლავებული.

ლიტერატურული ღვეწლი გეფის ვახტანგისა.

გარდა უკვე მოხსენებულის „სამოქალაქო კანონებისა“ და „დასტურლამალისა“ ვახტანგს ეკუთვნიან შემდეგნი შრომანი:

1. „მართლის ცხოვრება“ ანუ ისტორია საქართველოსი. „მართლის ცხოვრება“ წინადაც არსებობდა, ხოლო უკიცი გადამწერების გამო მასში ბევრი შეცდომები შეპარულიყო. ვახტანგმა მიიღო შრომა და აღადგინა ნამდვილი „მართლის ცხოვრება.“ აი თვით ამ წიგნის წინა-სიტყვაობა რას მოგვითხრობს: „ჰატიოსანნო და დილებულნო ქართველნო! შემთა-ეითარებისაგან „მართ. ცხოვრება“ გარეუნილ იყო: ზოგი რამ მწერალთა მიერ და ზოგიც დროთა-ეითარებისაგან; ხოლო ვახტანგმან, ძმამ ლეონისამან და ძმისწულმა სახელოვანის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი, მოატანინა საკა-კი „მართ.-ცხოვრ.“ იპოვებოდა, შეკრიბა გუჯრები და შეამოწმეს, რაც გარეუნილ იყო, გაასწორეს და შეამსეს ზოგიერთი ცნობებით, სომხურისა და სპარსულის წყაროებიდამ ამოღებულებით.

2. „წიგნი ეარსკულავ-მრაცხელობისა და ცის ქმნილებისა.“ ეს წიგნი სთარგმნა ვახტანგმა სპარსეთში ყოფნის დროს სპარსულიდამ და დაბეჭდა ტოილისში ოვას სტამპე, ში.

ვ. „შილილა და დამანა.“ ეს წიგნი არის ინ-დოურთ შესანიშნავთა იგავთა კრებული. ვაკტანგმა იკი სთარებზე, სპარსულიდამ. შურო წინადაც, თა-მარ მეფის დროს, ყოფილა ეს შესანიშნავი წიგნი თარგმნილი ქართულად, მაგრამ ის ძველი თარგმა-ნი დაკარგულა. „შილილა და დამანა“ კარგა მო-ზღვლი წიგნია და შეიცავს ორთა ტურათა, შილი-ლა და დამანას, იგავებით საუბრება. რა მახვილი და ჰაჲრანია ეს იგავები სჩანს ამ წიგნში ამოკრებილ ნიმუშებიდამ.

მოხსენებულ შრომათა გარდა მეფემ სთარგმნა და შეასწორა მრავალი საეკულესით წიგნები.

დადს განცემული მოჰკავს კაცი ყოველსა-ვე ჯემუხსენებულს ვახტანგის შრომასა. „სად ჰქონ-და მას მოსეენება და ლრო? მთელი საქართველო შეირალებული იყო: შენაური ალრეულობა, ერ-თი ერთმანერთან და გარეშე მტერთან ბრძოლა არა სწყლებოდა; მაგრამ ამ გვარი საქართველოს მდეკობა არა თუ არ ასუსტებდა, არამედ უფ-რო და უურო აღვიძებდა ვახტანგის მაღალს გო-ნებას და მზრუნველობას მაშულისადმი.“ *)

მრხევლ ნასიმე.

*) დ. ბაქრაძე.

0823- არაპნი

მეღი და ტაბლი.

ერთი მეღი ერთს ტყეთა შინა იაჩებოდა,
მძორთა ¹⁾ პოვნისათვის ყოვლგნით დაცანუადებდა,
მუნ ²⁾ ერთი ხე იდგა, და მას ხეზედა ტაბლა ³⁾
ვისმე ჩამოეკიდა და დარჩომოდა. მარე ეკიდა, რო-
მე რა ქარი მოვიდის, ხის შტო შეიძრის, ტაბლს
მოხვდის და დიდი ხმა გამოვიდის. მის ხის ძირს
ქათამი ნახა, რომე საკენკოა კენკდა. მას პარეა
დაუწყო, მონადირებას ცდილობდა. აჩაზდად, ⁴⁾
ტაბლის ხმა შემოესმა, მიხედა—ერთი დიდ-ტანო-
ვანი, მეტად მსუქნის მსგავსი და საზარელ-ხეიანი
ხეზედ ნახა. მეღმა სიხარბით აღარა გასინჯა რა,
და თქვა: მისი ხორცი და ტყავი მისის ხმის ოდე-
ნი იქმნებაო, ქათამი იყი გაუშვა და პირი ხეს გია-
პურა. ქათამმა შეუტყო და გაექცა. მეღი ათასის

¹⁾ მძორი—მკვდრის გვამი. ²⁾ მუნ—იქ. ³⁾ ტაბლი—სა-
ჭორე ნალარა. ⁴⁾ აჩაზდად—უცებ, მსწრაფლ.

ხრიკით მას ხეზე გაცილა, ტაბლი გახია, ნახა—ცოტა ხისა და ხმელის ტყავის მეტი არა იყო რა! შათ-მის მოშორვების ცეცხლი გულთა მავკზნა და თქვა: ვაიმე, რამ ამ დიდ ტანოვანისაგან უცოდინრად მოვტყუცდი, და ჩემი უცოდველი ნადირი უცნებელად გაუშვი და მისის გშვენიერის სახისაგან სარ-გებელი ვერა ვნახეო!

მ გ ე ღ ი ღ ი ღ ი

შექვამი, ერთი მოლვაწე პატიოსანი, კეთილ-მოქმედი, რომელი არას ჟამს ლოცვასა და სწავლას გარდა არა რასა იქმოდა, ერთსა ველსა ზედა ეტა-რებოდა. ნახა მგელი ერთი, მტაცებლობისა და მოხვეჭისათვის პირაშემული ვლიდა, და თვალი ნდომისა გზათა ზედა ეპყრა და ყოველი საწადელი მასთვის შეეკრიბა. ამას ცდილობდა, უბრალო ვინ-მე შეეწუხებინა, ანუ ერთი პირუტყვი უსულოდ მიეხადა და მისი უგვანი ავებულება სიმაძლრით გაე-ხარებინა.

რა მოლვაწემ იგი ესეთისა სახითა ნახა და შუბლსა ზედა მისსა უწყალოებისა და მქონეარე-ბისა სიკრელე აღმოიკითხა, მისის წყალობისა და

შოწყალებისა საუნჯისაგან წერთისა მისისათვის
პირი ააღო და ეტყოდა: კაცთა ცხოვართა ნუ იტა-
ცებო, ზროხათა და ხბოთა ხოცასა მოერიდეო, სა-
ბრალო გლეხთ უდიერისა მოქმედთა ღმერთი რის-
ხეასა მიუვლენსო, და უწყალოთათვის მას სოფელს
სატანჯველი განმზადებულიაო.

ესეთითა სიტყვებითა ასწავლიდა, და ტაცებასა
და კაცთა შეწყენასა ნამეტნაეად უშლიდა. მგელმა
უთხრა:

— ჩადაგება შეამოკლე, მე არა მცალს: მას
გორასა იქით ცხოვარნი სძოვენ და მოტაცების
ფამი გარდაიარსო, და მერმელა სინანული ველარ
გამაძლებსო.

თ რ ი ტ რ ე დ ი.

უთქვამთ: ორთა ტრედთა გაზაფხულ თვისად
სატრდოდ მრავალი რამე შეაგროვეს და ერთსა ად-
გილსა საზამთოდ შეინახეს. მარცვალი იგი ტენი-
ანი¹⁾ იყო, დასხეილებული, და რა ზაფხულ სიც-
ხის პირი მოვიდა, მარცვალი გახმა და საზომს,
მოაკლდა. მამალი ტრედი სხვაგან იყო და რა მა-

¹⁾ ტენიანი — ნესტიანი, სველი.

ვიდა, ნახა საზრდელსა მოკულებოდა, დედალსა მას ეკრტიმლებოდა ¹⁾ და ეტყოდა:

— მსე მარცვალი ზამთრისათვის საზრდელად შევკრიბეთ. რა ყინვასა შინა ველარა გვეპოვნა რა, და თოვლს ყოველივე მოეცვა, მაშინ გამოვევზოგა. დროსა ამას მთა და ბარი ნაყოფითა სავსეა, აწ შენ ესე რად შეგიჭამია და ჭკვასა და ცოდნას გარდამხდარ ხარ?

დედალმა ჰქონდა: — „ამისგან არა მამიკლია რა, და არცა რა მიგემებია.“ — მამალი, რა მარცვალთა მოკულებულთა ხედეილა, ფიცსა არ უჯერებდა, სცემდა და ელალებოდა და რისხვით გააძო. — რა მოზამთრდა და ნოტიობა შეიქმნა, მარცვალი დანედლდა, დასხვა ²⁾ და პირველსავე საზომსა მოვიდა. მამალმა მტრედმა სცნა მისი მოკულებისა მიზეზი რაც უფრო უფრო, საყვარლისა გაყრისათვის ტრირილი და ვაება შექმნა და შეჭირებული მალლის ხმითა გრევინვიდა და იტყოდა:

— მოყერიე მოშორების სიმწარე ძნელი ყოფილა, მაგრამ ესე მისგან უძნელესია, რომე სინანულსა სარგებელი აღარა ჰქონდესო.

¹⁾ ეკრტიმლებოდა — უგვანის სიცუკებით იხსენებდა.

²⁾ დასხვა — დასხტვილდა.

მ წ ი რ ი.

მოუუბნებიათ: ერთსა დღესა ერთი საშრალო, ბუნებით წმიდა, წესისა მტკუცედ მპყრობელი მწირი¹⁾ ერთსა სავაჭროთა ელიდა. მუნ ერთი საბრალო მეპუნგია²⁾ ნახა, სიგლახაკითა მცირედი შემოსაფალი ჰქონდა, და იგი ამას პატიოსანსა მწირსა ცოტას ხანს მის დუქანზე უჭუჯდომასა და განსვენებასა ეცედრა, და იგი მისის სიტყვით მუნ დაჯდა, და მეპუნგიაემ პატივი სცა და ცრთი თასი თაფლითა აავსო, მწირს მიართვა. მას თაფლის თასსა, ვითა წესია, ბუზნი მიეჩვიენენ, და რომელიმე თასისა პირსა დაჯდა, ლა რომელიმე საშუალ თასისა. რომელნიცა კიდეთა ისხდენ, ადვილად გაფრინდენ, და რომელნიცა საშუალ ცხდენ, ფერხთა თაფლი შეეწება. რა გაფრენას ეცადნენ, ფრთენიც თაფლსა მიეკრნეს და სიკვდილის მახეში ჩაცვიედენ. მწირს გაეცინა და ხელი შეიტკეცა. რა მწირის უხილავი ზღვა დამშეიდდა და სიცილისა და განკვირვების ღელვა დაწყნარდა, მეპუნგიაემ ჰკითხა:

¹⁾ მწირი—უცხო ვინჩე, უცხო ადგილთა მყოფი წმინდა კაცი. ²⁾ მეპუნგია—პუნგიათი მოვაჭრე. პუნგია—ჰალვა, გოზინა უძირსებური საჭმელი.

— მა, სასურველო! მე ხილული პუნგია, რო-
შელი მქონდა, შენ გიძლევნ, და რადცა შენისა
უხილავისა პუნგისაგან სკან, მე გამომიტადეო.

მწირმა უთხრა: ეს სოფელი და მისი მოყვარე
ამ თასში დავინახე, და დაფარული ცხადად მეჩვენა. მს თასი ამ სოფლის მსგავსია: თაფლი სოფლის
მოცემული კეთილი და ბუზნი—მისნი მჭამელნი
და შეთეისებულნი, თასის კიდესა მსხდომნი—საბ-
რალო გლახაკნი, მცირისა საზრდელისა დაჯერე-
ბულნი, და თასს შუა მსხდომნი—სიხარბისა და მო-
ხეჭის მოქმედნი კაცნი, რომელთა საწუთოს შუა
ჯდომა კეთილი ჰგონიათ. მათვე სოფლის განწე-
სებული მახე უადვილესად შეიპყრობსო.

გ ლ ა ს ა კ ი .

შთქვამთ, ერთს მოღვაწეს კაცსა ერთისა ვა-
ჭრისა სიახლოესა სახლი ედგა. მის ვაჭრისა სამ-
სახურითა მისსა დღესა მოსვენებით აღამებდა, და
ვაჭარი იგი ნიადაგ ერბოსა და თაფლსა ჰყიდდა და
მისის ვაჭრობით სარგებლობდა. და რადგან მას
მოღვაწეს პატიოსანი ცხოვრება ჰქონდა და მიწ-
ყივ¹⁾ ლვოს სიყვარულისა თესლისა მისის გულისა

¹⁾ მიწყივ—მარადის, ყოველოვრე.

ნათნაესა შიგა სთესდა, ვაჭარსაცა მისი სურვილი მოეგო, და მისსა საზრდოსა, ძალისაებრ თვისისისა, მისცემდა. მქონიერობის საჩემებელი მას მიხედების, რომელიცა ესეთისა დაერთომილისა გულთა. ხელთა დაიპყრობს და უკედავებისა საგზალსა მოკვდავისა საქონლისაგან გაიტანს.

მას ვაჭარსაც მის საქმობით ხელი მოემართა, და მიწყიფ მის სყიდვა-გასყიდვას ცდილობდა და მოწყალებისათვის მას საბრალოსაც მისცემდა. მოღვაწე იგი ცოტას რასმე მოიხმარებდა და გარდანარჩომსა ინახევდა. რა ერთი დერგი ¹⁾ აავსო, იამა და ჭირეტა დაუწყო; საგონებელსა ჩავარდა და ოტყუდა: ნეტარ, რა ერთი თავლი და ერბო შემოკრებია და ამაში დამიცსო? მართ ორი ლიტრა მგონიაო. სამასად დინარად ²⁾ გავა, გავყიდი და ამით ხუთს ცხვარს ვიყიდიო, და ესე ცხვარნი ნახევარ წელსა ხუთნივე შობენ და ოროლსა კრავსა მომცემენ, და წელიწადისა გასრულებასა ოცი შემექმნების, და ათსა წლაშიდე ცხვარი გამიმრავლდების, და ზოგთა გავყიდი, ხელსა მოვიმართავ და ერთსა დიდებულისა კაცისა ასულსა შევირთავ. ცხრას თვესა უკანის ვაჟსა მიშობს, ცოდნასა და

¹⁾ დერგი—ქალა. ²⁾ დინარი—ფულია.

მფცრიელებას დასწავლი. გაგრამ რა ჩჩეილობით სისრულეზე მიიწიოს, არამც წერთნა აღარ მოისმინოს?! და თუკა გამიუარებივდა, მისი დატუქსეა არა უმართებლო არისო, და ესე არგანი, ¹⁾ რომელი ხელთა მაქვს, ამით ხამს ვსცემოო. მას ფამსა ესე-თისა საგონებლობისა ზღვასა დანთქმულ იყო, რო-მე უსმი ²⁾ შეილი წინაშე მდგომარე ეგონა, აიპურა არგანი, მას დერგსა დაჰკრა და დალეწა. თაფლითა და ერბოთ სავსე იგი დერგი მაღლა სარკმელთა დგა და პირის-პირ უჯდა, და რა გატუდა, მარინვე თავს გარდაესხა და წვერ-ულვაში და ტანი სრულობით შესვარა, და ცუდი იგი საგონებელი ანაზდად გაუ-კარდა.

სელმწაფე და მეჭინიბე.

მრთი ხელმწიფე იყო ქებული და სახელოვანი და ყოფლითა რიგითა შემკული. მისი საფერი მო-საგებელი ესრე მოყვო, მისის სიმდიდრის მოწყა-ლებისა სხივითა მისი საბრძანებელი გარე მოეცვა.

მრთსა დღესა ნადირობად გამოვიდა. ჟოლბი-

¹⁾ არგანი—ჯოხი. ²⁾ უსმი—შეუსმუნელი, გაუგონარი.

სა ³) მყოლნი კაცნი სამსახურთა იჭირფოდენ. ხელ-
მწიფებრივ მეჯინიბეს უბრძანა:

— მარტივს ჩემი ცხენი შენსა ცხენსა გადგინო,
და რამელი უმალე და უმჯობესია იგი ესტაო.

მეჯინიბებრივ ხელმწიფის ბრძანებული აღასრულა.
და ორთავე გააჭერეს. რა ლაშქარს გასცილდენ,
მეფებ ავტანდათა მოიმაგრა და სადაცეს აზიდა. მე-
ჯინიბეს უბრძანა: ამა ცხენთა დგენისა მიწერი ესე
იყო, ჩემთა გულთა სხვა რამე მიცს, და ერთი რამე
საგონებელი დაბადებულა. ჩემთა ყმარა ცერავის
ვენდევ, და აწ ესე მოვიგონე — მარტო შენ დამე-
ხელებინე, რომე ესე სხვათა ვერა სცნან, და ესე
ხვაშიაღი არავინ შეიტყოს. შენ ფსე კეთილად და-
მიუარეო. მეჯინიბებრი ქება შეასხა:

— მე უღირსი და გლახაკი ამა მალალსა პატივისა
და დიდებასა არა ვეჭვ, მზისაებრ ელვარის ხელმწი-
ფის წყალობის ჩრდილი ჩემზე ადგეს, თუ არა, ჩემ-
გან საიდუმლოსა დილის ნიავი, რომელი გაზაფხუ-
ლის ამბევის მესაიდომდლოვეა?! ამა კორდისაგან სუნ-
საცა ვერ იქრავსო, და გული რომე ამა საუნჯის
მოხელეა, იკიცა მისის ცნობის საზღვარსა ვერ მჰ-
ხედებისო.

^{³)} ყოლბი — რაზმის შეა-გულში მდგომი ჯარის ფაცნი,
რომელნაც გარს არცყიან მეფეს.

ხელიწიუე დიდსა წყალობასა დაპირდა და უბრძანა: „ჩე ქმისა ჩემისაგან საფონებელსა დიდსა ჩავარდნილ ვარ. დღითი-დღე ჩემის სიკვდილისა და აღმოფხვრის სახე მისის დგომისა და ჯდომისა პარ-თა ზედა აღმოიკითხვის. მსე მართლა შემიგნია, მას ჩემის მოკვლის ზოსტერი¹⁾ წელთა შეურტყამს. აწ ესე მწადიან: ვირე იგი დამასწრებდეს, მნებავს უწინ მე მისი თავი, ვითა ქვა გზიდამ, ავიღო, და აგარაკისა სათები საჩხვლეტელისა ეკალთაგან გაფ-მარგლო.

შენგან ეს მინდა: ყოველ-ჟამ ამა საქმესა გაე-კრძალო, ჩემსა დარაჯობასა ფრთხილობდე. მეჯი-ნებემა ამა საქმეთა ცდისა და სამსახურისა პირობა დაუდვა. მარემ სადგომსა მიეიღოდნენ პაემნის²⁾ გარდასვლის უსტარი³⁾ თვისის დაუნდობლობით წა-იკითხა, მცველობისა და ერთგულობისა რიგთა გა-რდასცილდა და ფერხი შეცოდებისა ველთა ავლინა.

მეჯინიბემ დრო დაიცა და ხელმწიფის ქმასა იახლა, და ყოველი, რაცცა ასმოდა, ეგრე უამბო. ხელმწიფის ქმამა დიდად დაუმადლა და დიდსა ნიჭ-თა დაპირდა, და საცადლით თავსა თვისსა ქმისა

¹⁾ ზოსტერი — ქამარი. ²⁾ პაემანი — პირობა. ³⁾ უსტარი — წერილი.



ხრიკასაგან აკრძალებდა. ვითა ცათ მბრუნავისა წე-
სია და უხანოსა სოფლისა უსაძირკელობა, მის
მსგავსად, ძმისა სვიანობისა¹⁾ ზაფხული ზამთრად
შეუცვალა, და ბედნიერობის ყვავილი სიცოცხლის
ნერგისაგან ჩამოაცვინა.

ხელმწიფობის ტახტი და დიდების სრა-ფარუა-
ვი მისის მაღლის მეფობისაგან ცარიელი დარჩა.
უმცროსში ძმამა ფერხი მის საპატრონოზედ შედგა
და მეფობის გვირგვინი ამაღლებულს თავს დაიდგა.

რა ტახტთა ზედა დაჯდა, პირველი ბრძანება
ესე მოილო: „მეჯინიბე იგი მოიყვანეთო!“ რა მოი-
ყვანეს, მაშინვე თავის მოკვეთა ბრძანა. საწყალმა
მეჯინიბემ ენა აუბნა, და თქვა:

—ჩემი თქვენთან შეცოდება მოხმარებისა და
ერთგულობისა კიდე არა არის რაო!

ხელმწიფემ ბრძანა: „ბოროტისა კაცისაგან ხეა-
შიადისა გაცემისა უდიდესი რაც შეცოდება იქმნე-
ბისო? მაგასა ესე დამნაშაობა აქვს: ჩემი ძმა ყო-
ველთა ერთ-გულთაგან უმეტეს მიენდო, და მისი
საიდუმლო გაუმხილა. აწე შე მაგას ვითლა დავინ-
დობო“?

¹⁾ სვიანობა — ბედნიერება.



მეჯინიბე რაზომცა ეველრებოდა, აჯა¹⁾ არაეინ გამოართვა, და ხელმწიფის წყრომაში ჩავარდა, და სიმუხთლე თავს დაიღვა.

ჭრია და კავაბი.

უთქვამსთ, ერთი კაკაბი კლდეთა ძირთა გოგავდა, და მისი კაკანის ხმა ზეცად აღიწეოდა. ჰაერთა შინა მფრინავმა ერთმა ქორმა მავალსა ანაზღად თვალი შეადგა, და რა მისსა კისკასით სიცილსა ყური მოჰკრა, ყოველივე შრომა და სარჯელი გულთავან დაეცალა, და მისის სიყვარულის სახე გულის ფიცართა გამოისახა, და თვისთა გონებათა შინა იგონებდა და იტყოდა:

—შეეყანათა ზედა მეგობრობისა უმჯობესი არა არის რა. საყვარლის მოყვრისა და ამხანაგის გარიდება უხამსია. იგავთა შინა უთქვამსთ: უსაყვარლო კაცი მაწყიც სნეულიაო.

მსე შვენიერი, ბხიარულად პირ-მოცინარი, სელა სწრაფი, ლამაზად მოძრავი.. რა გულმა ესეთ-სა ამხანაგთავან ილხინოს, გაახლდება და გაჭაბუკდება, აგებულობა ყოველის რევმათავან²⁾ გაუწმდებაო.

¹⁾ აჯა—ვედრება. ²⁾ რევმათაგან.

მერმე წყნარისა ფრენითა კაკაბსა მიმართა. რა კაკაბმა ნახა, მიპრიდა და ერთისა კლდისა ნაპრალთა შეუძერა. მორი კართა მიუჯდა, და თეოსი საგონებელი ყოველივე აუწყა და უთხრა:

— ქაკაბო, ოდეს აქამდე შენისა სიკეთისა უმეცარი ვიყავ, შენი შესწავლა და ცნობა არა მქონდა. დღეს შენმა საქციელმან გულთა შინა ჩემთა დიდი სიყვარული დასთავსა, და გულის ალსაძრელმან შენმან გოგვამან მე ყოლე¹⁾ მომინადირა. აწეს მინდა, დღეის წალმა ჩემგან ალარ იშიშეოდე და დავმევობრდეთ, და მე და შენი ერთობა გაეკოსო, რადგან სიყვარულსა ზრავალი სარგებელი მოაქვს, და მოყვრობისა ხედ საწადლის ხილსა მოისხამსო.

ქაკაბმა ხმა უყო და ჰრეჭა: ჰი, მძლავრობისა საჭმეთა მოქმედო! ამის საბრალოსა მონისა ჩემისაგან ხელი აიღე. მგრე გეგონო, ეითამც სხვა ერთი ვინმე კაკაბი შეგეჭამოსო?!

ოდესაც ცეცხლი და წყალი შეზავდებიან და შეერთება მოუხდებათ, ჩემი და შენი დამეგობრება მაშინდა იქმნება; რომელსა დროსა მზე და ჩრდილი გაერთდებიან, ჩემი და შენი მოყვრობაცა მოთავსდება.

¹⁾ ყოლე—სრულიად.

შორმა უთხრა: „შე, პატიოსანო! შენსა გონე-
ჲათა შინა გაჩხრიკე: მე შეწყედ სიკეთის კიდე რა
მეწადება? მე გეხვეწები და გემუდარები, თვარე ეს
ხომე იცი, ჩემსა კლანჭსა სიმახვილე არ აკლია,
რომე ერთი შენისთანა ნაღირი ვერ შეიპყრას, და
არცა ჩემი ჩარბი¹⁾ მოცვეთილა, რათამცა მორინ-
ვლის უხორცობამან შემაწუხოს. აშის მეტი არა
მწადიან რა, რომე შენი გაუყრელობა და შეთვი-
სება მომინდა, და ერთად ყოფნისა და შენის შვე-
ნიერების სიტურთე სიკეთის გზაზედ მაყენებს, და
შენცა ჩემის გაწყობითა მრავალი სარგებელი შეგვ-
ძინება. პირველად ესე, რა ჩემნი ნათესავნი ჩემის
შეწევნისა ფრთისა საფარველსა ჭვეშე გნახვენ,
მძვინეარებისა ხელსა შენისა კალთიაგან განაშო-
რებენ, თვალითა მოწყალითა და მოყეარულითა
ჭერეტას დაგიწყებენ, შენცა გულ-ნებიერად კლდე-
თა და ველთა სელათა და ფრენათა დაიწყებ; მეო-
რე ესე, შენცა ჩემთა ბუღეთა წაგიყვან, და ვრცელ-
თა ადგილთა გამყოფებ, და შენისა მყოფობისაგან
მაღალთა ხარისხთა აღიწევი, და კვალად ესეცა—
შენისავე გვარისაგან ერთსა შეენიერსა, ლამაზს,
შენს საფერს ტოლს საქორწილოდ მოგვერი, რო-

¹⁾ ჩარბი—ნისკარცი.

მე სალხინო წელი კისერთა გარდახეივო და შენი ხანი და ეამი ამოს საწადლით წარელო.«

მაკაბმა უთხრა: „შენ მფრინველთა უმჯობესი ხარ, და ნება ხელთა შენთა არს. მე შენი მებევრე გლეხი ვარ, და ჩემთა უბედურობისაგან თქვენგან უიმედობასა არ ველი. ვინ იცის დროს საქმე, რა მე თქვენის წყალობის ღირსი შევიქმნები, მაშინ არამც ჩემი გუნება სიმხიარულით ალალდეს, თქვენი ქებული გული ჩემზედ არ გაწყრეს და საპატიონოს რისხერს კლანჭითა ტანით ძარღვნი არ ამომწევადნე. თვარა, ესევე მიჯობს, აქავე მარტოებით სოროთა შინა ცოცხლებით ვიყოფებოდე, ჩემთა უფალთა რისხეის საზარელი დროშა არ აემართოვო.«

მორმა უთხრა: „ცე, ძმაო! არ გიცნობია საყვარლის აუგზე ¹⁾ მოყვერის თვალი ბრმა არის: რაცა სილალით უშეერი რამე ქმნას, მას შეენიერად ეჩერებაო.

მე რომე უკან ქცევასა სიყვარულის თვალითა ვსჭრეტ, შენისა შესხმის რუკასა ²⁾ სურვეილის მატიანეთა რა დავსდებ, რითლა იქმნება წყენისა ასრა-

¹⁾ ავგი—სამარცხვინო თვისება, საქცევლი. ²⁾ რუკა—წერილი.

ნი საწყინრად აღმოვიყითხო, და შენგან საწყენი ჩითაც გზით რასაც საქმეში მე გულთა დავიდეა?“

კაკაბმა, რომელიც მართებული მიზეზი უთხრა ქორჩა, ეზომი დასამშეიდებელი პასუხი პირის-პირ მისცა. ბოლოს-ფარ კაკაბი პირობის სიმტკიცითა ნაპრალიდამ გამოიყვანა, და ეჩომანერთს გარდე-ხვივნენ, და ხელ-ახლა პირი და ფიცი განაახლეს. მორი წაუძლვა და თავის ბუდეთა წაიყვანა, და ერ-თად სიყვარულითა და ლხინითა სოფელსა მოსჭამ-დენ. რა ორი, სამი დღე ესრე დააღამეს, კაკაბი ქორისაგან უშიშ იქმნა, აღალდა და მაღლითა ხმია-ნობითა ზახილი და უბადო¹⁾ სიცილი დაიწყო. მორი მაღლის გონებით ითმენდა, თუკა არ სმენო-და—ყურთ იყრუებდა, მაგრამე გულთა შინა წყრე-ბოდა.

მრთსა დღესა ქორი უძლებად შეიქმნა და სი-სუსტე ემატა. მსოდენ მოუძლურდა, ხორცთა მო-ნადირებად ვეღარ მოიფრინვა და მას დღეს ბუდე-სავე ჯდა. რა ბინდი მოეკიდა და კუჭი საჭმლისა-გან დაუცარიელდა, შიმშილმა შეაჭირვა, აგებულე-ბა მოეშალა, ძოლანდელი წყრომა, რაც გულში შეკრებული ჰქონდა, ჭმუნვისა მაოცებელი პირის

¹⁾ უბადო—ცუდი, ავი.

სახე თვალთა წინ დაიდვა და დაჯერების კილოთი
შისკვნ არ იჭერეტდა: კაკაბისა გაბძარვასა და, ჭ:მი-
სა მიზეზთა იგონებდა. ქაკაბმა რა განრისხებისა
ნიშანი მის გულთა შინა ნახა, თვალით თვისი სი-
კვდილისა გამზადება გაიცადა, მყინვარი სულთქმა
მწუხარებით სავსე გვამიდაშ ამოადინა.

— მახმე, რომ უწინ ჩემის საქმის ბოლო ვერ
გავსინჯე და სხვას თესლსა მივენდე, ბრძენთა არა
ვისმინე და უნათესაოთ ალერსსა შევეთვისე!

ბრძენთ უთქვამთ: „უცხო თესლთ დაეხსენ
მათს მეგობრობასა მინდობასა!“

სახსოვარი დაეივიწყე, და აწ ჩემის სიცოცხლის
ხომალდი ესეთსა პელაგონთა ¹⁾ შევაგდევ, რომე
რჩევის მცურავი მისის მორჩენის ღონეს ვერ შეი-
ძლებს. სულის ბაგირი ²⁾ ესრე გავსწყვიტე, გონე-
ბის თითის მწვერვალი შის შესასკვნელად გაშტე-
რდებისო.

თავისა გონებათა შინა ესეთსა რასმე ბჭობდა,
და ქორსა მისთვის ჭირისა კალთა გაფშალა და სი-
სხლისა მსმელი ჩარბი შხამის წყლითა იწრთობოდა.

¹⁾ პელაგონი—ზღვა. ²⁾ ბაგირი—მსხვილი საბელი ნავის
დასაბმელი.

ქაკაბი რა მკრთალითა პირითა უჭირეტდა და კრძალვით ეჭირდა, ქორმა შიზეზი ვეღარ უპოვა- რა, რათამცა მოეკლა, ღონე მოსწყდა და რისხეით კაკაბსა უბრძანა:

— რახა ესე, მე მზესა ქვეშე ეზი და მაცხუ- ნებს, შენ ჩრდილთა ქვეშე განისვენებო? კაკაბმა უთხრა:

— მაღალო და ქვეყანათა მცყრობელო! აწ ხომე ღამე არს, და ყოველი თემი სიბნელესა მოუ- ცავს? რომელმა მზემ შეგაურეა თქვენა, და ანუ ჩრდილსა ქვეშე მე სადა განმისვენებიაო?! მორმა, გამწყრალმა, შეტუქსა და უთხრა:

— მაა, შენ მოურიდალო! მე ტყუილის მთქმელად შემქენო, და მე და ჩემი სიტყვა შეუ- რაცხად გიჩანვართო?! აწ შენი სამუქფო¹⁾ რისხეა მოგანიჭო!..

ამისი თქმა და მისი დაგლეჯა და შეჭმა იქმნა.

ბ ა ტ ი დ ა გ გ ე ლ ი.

ქაცი ერთი აქლემსა ჯდა და მგზავრ იარებო- და. მრთსა ადგილსა მიეიდა. მუნ მგზავრთა ცეცხლი

¹⁾ სამუქფო — შესაფერი.

ხრიკასაგან აკრძალებდა. მითა კათ მბრუნავისა წესია და უხანოსა სოფლისა უსაძირკელობა, მის მსგავსად, ძმისა სკიანობისა¹⁾ ზაფხული ზამთრად შეუცვალა, და ბედნიერობის ყვავილი სიცოცხლის ნერგისაგან ჩამოაცვივნა.

ხელმწიფობის ტახტი და დიდების სრა-ფარგავი მისის მაღლის მეფობისაგან უარიელი დარჩა. შპროსმა ძმამა ფერხი მის საპატრონოზედ შედგა და მეფობის გვირგვინი ამაღლებულს თავს დაიდგა.

რა ტახტთა ზედა დაჯდა, პირეელი ბრძანება ესე მოიღო: „მეჯინიბე იგი მოიყვანეთო!“ რა მოიყვანეს, მაშინვე თავის მოკვეთა ბრძანა. საწყალმა მეჯინიბემ ენა აუბნა, და თქვა:

— ჩემი თქეენთან შეცოდება მოხმარებისა და ერთგულობისა კიდე არა არის რაო!

ხელმწიფები ბრძანა: „ბაროტისა კაცისაგან ხვა-შიადისა გაცემისა უდიდესი რაფ შეცოდება იქმნებისო? მაგასა ესე დამნაშაუბა აქვს: ჩემი ძმა ყოველთა ერთ-გულთაგან უშეტეს მიენდო, და მისი საიდუმლო გაუმხილა. აწე ჩე მაგას ვითლა დაეინდგაბო“?!

¹⁾ სკიანობა — ბედნიერება.

მეჯინიბე რაზომცა ეველრებოდა, აჯა¹⁾ არავინ გამოართეა, და ხელმწიფის წყრომაში ჩავარდა, და სიმუხტლე თავს დაიღვა.

ჭრია და კავაბი.

უთქვაშსთ, ერთი კაკაბი კლდეთა ძირთა გოგავდა, და მისი კაკანის ხმა ზეცად აღიწეოდა. ჰაერთა შინა მფრინავმა ერთმა ქორმა მავალსა ანაზდად თვალი შეადგა, და რა მისსა კისკასით სიცილსა ყური მოჰკრა, ყოველივე შრომა და სარჯელი გულთაგან დაეცალა, და მისის სიყვარულის სახე გულის ფიცართა გამოისახა, და თვისთა გონებათა შინა იგონებდა და იტყოდა:

—შეეყანათა ზედა მეგობრობისა უმჯობესი არა არის რა. საყვარლის მოყვრისა და ამხანაგის გარიდება უხამსია. იგავთა შინა უთქვაშსთ: უსაყვარლო კაცი მიწყიე სწეულიაო.

მსე შეენიერი, მხიარულად პირ-მოცინარი, სელა სწრაფი, ლამაზად მოძრავი!.. რა გულმა ესეთსა ამხანაგთაგან ილხინოს, გაახლდება და გაჭაბუკდება, აგებულობა ყოველის რევმათაგან²⁾ გაუწმდებაო.

¹⁾ აჯა—ვედრება. ²⁾ რევმათაგან.

მერმე წყნარისა ფრენითა კაკაბსა მიმართა. რა კაკაბმა ნახა, მიპრიდა და ერთისა კლდისა ნაპრალთა შეუძლო. მორი კართა მიუჯდა, და თვისი საგონებელი ყოველივე აუწყა და უთხრა:

— ქაკაბო, ოდეს აქამდე შენისა სიკეთისა უმეცარი ვიყავ, შენი შესწავლა და ცნობა არა მქონდა. დღეს შენმა საქციელმან გულთა შინა, ჩემთა დიდი სიყვარული დასთავსა, და გულის აღსაძერელმან შენმან გოგეამან მე ყოლე¹⁾ მომინადირა. აწეს მინდა, დღეის წალმა ჩემგან აღარ იშიშვოდე და დაემეგობრდეთ, და მე და შენი ერთობა გაეკოსო, რადგან სიყვარულსა მრავალი სარგებელი მოაქვს, და მოყერობისა ხედ საწადლის ხილსა მოისხამსო.

ქაკაბმა ხმა უყო და ჰრქვა: ჰი, მძლავრობისა საქმეთა მოქმედო! ამის საბრალოსა მონისა ჩემისაგან ხელი აიღე. მგრე გეგონო, ვითამც სხვა ერთი ვინმე კაკაბი შეგეჭამოსო?!

ოდესაც ცეცხლი და წყალი შეზაედებიან და შეერთება მოუხდებათ, ჩემი და შენი დამეგობრება მაშინდა იქმნება; რომელსა დროსა მზე და ჩრდილი გაერთდებიან, ჩემი და შენი მოყერობაცა მოთავსდება.

¹⁾ ყოლე—სრულიად.

მორჩა უთხრა: „შე, პატიოსანო! შენსა გონებათა შინა გაჩხრიკე: მე შეწედ სიკეთის კიდე რა მეწადება? მე გეხვეწები და გემუდარები, თვარე ეს ხომე იცი, ჩემსა კლანჭსა სიმახვილე არ აკლია, რომე ერთი შენისთანა ნადირი ვერ შეიპყრას, და არცა ჩემი ჩარბი¹⁾ მოცვეთილა, რათამცა მორინვლის უხორცობამან შემაწუხოს. ამის მეტი არა მწადიან რა, რომე შენი გაუყრელობა და შეთვისება მომინდა, და ერთად ყოფნისა და შენის შვენიერების სიტურთე სიკეთის გზაზედ მაყენებს, და შენცა ჩემის გაწყობითა მჩავალი სარგებელი შეგეძინება. პირველად ესე, რა ჩემნი ნათესავნი ჩემის შეწევნისა ფრთისა საფარველსა ქვეშე გნახვენ, მძვინერებისა ხელსა შენისა კალთიაგან განაშორებენ, თვალითა მოწყალითა და მოყვარულითა ჭირეტას დაკიწყებენ, შენცა გულ-ნებიერად კლდეთა და ველთა სელათა და ფრენათა დაიწყებ; მეორე ესე, შენცა ჩემთა ბუღეთა წაგიყვან, და ვრცელთა ადგილთა გამყოფებ, და შენისა მყოფობისაგან მაღალთა ხარისხთა აღიწევი, და კვალად ესეცა — შენისავე გვარისაგან ერთსა შეენიერსა, ლამაზს, შენს საფერს ტოლს საქორწილოდ მოგვერი, რო-

¹⁾ ჩარბი — ნისკარტი.

მე სალხინო ხელი კისერთა გარდახეივო და შენი ხანი და ყამი ამოს საწადლით წარვლო.“

ქაუბმა უთხრა: „შენ მფრინველთა უმჯობესი ხარ, და ნება ხელთა შენთა არს. მე შენი მებეგრე გლეხი ვარ, და ჩემთა უბედურობისაგან თქვენგან უიმედობასა არ ველი. ვინ იცის დრუს საქმე, რა მე თქვენის წყალობის ლირისი შევეჭმნები, მაშინ არამც ჩემი გუნება სიმხიარულით ალალდეს, თქვენი ქებული გული ჩემზედ არ გაწყრეს და საპატრიონოს რისხვეს კლანჭითა ტანით ძარღვნი არ ამომწვადნე. თვარა, ესევე მიჯობს, აქაცე მარტოებით სოროთა შინა ცოცხლებით გიყოფებოდე, ჩემთა უფალთა რისხვის საზარელი დროშა არ აემართოვო.“

მორმა უთხრა: „ცე, ძმა! არ გიცნობია საყვარლის აუგზე ¹⁾ მოყვერას თვალი ბრმა არის: ჩაცა სილალით უშვერი რამე ქმნას, მას შეენიერად ეჩერებაო.

მე რომე შენს ქცევასა სიყვარულის თვალითა ვსჭირეტ, შენისა შესხმის რუკასა ²⁾ სურვილის მატიანეთა რა დავსდებ, რითლა იქმნება წყენისა ასო-

¹⁾ აუგი—სამარცხვინო თვისება, საქც'ელი. ²⁾ რუკა—წერილი.

ნი საწყინრად აღმოვიკითხო, და შენგან საწყენი რითაც გზით რასაც საქმეში მე გულთა დაეიდვა?“

ქაკაბმა, რომელიც მართებული მიზეზი უთხრა ქორპა, ეზომი დასამშეიდებელი პასუხი პირის-პირ მისცა. ბოლოს-ფამ კაკაბი პირობის სიმტკიცითა ნაპრალიდამ გამოიყეანა, და ერთმანერთს გარდე-ხეივნენ, და ხელ-ახლა პირი და ფიცი განაახლეს. ქორი წაუძლვა და თავის ბუდეთა წაიყვანა, და ერ-თად სიყვარულითა და ლხინითა სოფელსა მოსჭამ-დენ. რა ორი, სამი დღე ესრე დააღამეს, კაკაბი ქორისაგან უშიშ იქმნა, ალალდა და მაღლითა ხმია-ნობითა ზახილი და უბადო¹⁾ სიცილი დაიწყო. ქორი მაღლის გონებით ითმენდა, თუკა არ სმენო-და—ყურთ იყრუებდა, მაგრამე გულთა შინა წყრე-ბოდა.

ერთსა დღესა ქორი უძლებად შეიქმნა და სი-სუსტე ემატა. მსოდენ მოუძლურდა, ხორცთა მო-ნადირებად ეეღარ მოიფრინვა და მას დღეს ბუდე-სავე ჯდა. რა ბინდი მოეკიდა და კუჭი საჭმლისა-გან დაუკარიელდა, შიმშილმა შეაჭირვა, აგებულე-ბა მოეშალა, ძოლანდელი წყრომა, რაც გულში შეკრებული ჰქონდა, ჭმუნვისა მაოცებელი პირის

¹⁾ უბადო—ცუდი, ავი.

სახე თეალთა წინ დაიღვა და დაჯერების კილოთი
მისკენ არ იჭირეტდა: კაკაბისა გაბძარვასა და ჭამი-
სა მიზეზთა იგონებდა. მაკაბმა რა განრისხებისა
ნიშანი მის გულთა შინა ნახა, თეალით თვისი სი-
კვდილისა გამზადება გაიცადა, მყინვარი სულთქმა
მწუხარებით სავსე გვამიდაშ ამოადინა.

— ვახმე, რომ უწინ ჩემის საქმის ბოლო ვერ
გავსინჯე და სხვას თესლსა მივენდე, ბრძენთა არა
ვისმინე და უნათესაოთ ალერსსა შევეოვისე!

ბრძენთ უთქვამთ: „უცხო თესლთ დაეხსენ
მათს მეგობრობასა მინდობასა!“

სახსოვარი დავივიწყე, და აწ ჩემის სიცოცხლის
ხომალდი ესეთსა პელაგონთა ¹⁾ შევაგდევ, რომე
რჩევის მცურავი მისის მორჩენის ლონეს ვერ შეი-
ძლებს. სულის ბაგირი ²⁾ ესრე გავსწყვიტე, გონე-
ბის თითის მწვერვალი მის შესასკვნელად გაშტე-
რდებისო.

თავისა გონებათა შინა ესეთსა რასმე ბჭობდა,
და ქორსა მისთვის ჭირისა კალთა გაეშალა და სი-
სხლისა მსმელი ჩარბი შზამის წყლითა იწრთობოდა.

¹⁾ პელაგონი — ზღვა. ²⁾ ბაგირი — მსხვილი საბეჭი ნავის
ფასაბმელი.

ქაკაბი რა მკრთალითა პირითა უჭირეტდა და კრძალვით ექცეოდა, ქორმა მიზეზი ვეღარ უპოვა- რა, რათამცა მოვკლა, ღონე მოსწყდა და რისხვით კაკაბსა უბრძანა:

— რახა ესე, მე მჩესა ქვეშე ვზი და მაცხუ- ნებს, შენ ჩრდილთა ქვეშე განისვენებო? კაკაბშა უთხრა:

— მაღალო და ქვეყანათა მპყრობელო! აწ ხომე ღამე არს, და ყოველი თები სიბნელესა მოუ- ცავს? რომელმა მზემ შეგაურვა თქვენა, და ანუ ჩრდილსა ქვეშე მე სადა განმისვენებათ?! ძორმა, გამწყრალმა, შეტუქსა და უთხრა:

— მაა, შენ მოურიდალო! მე ტყუილის მთქმელად შემქენო, და მე და ჩემი სიტყვა შეუ- რაცხად გიჩანვართო?! აწ შენი სამუქფო ¹⁾ რისხა მოგანიჭო!..

ამისი თქმა და მისი დაგლეჯა და შეჭრა იქმნა.

პ ტ ი დ ა გ გ ე ლ ი.

ქაცი ერთი აქლემსა ჯდა და შგზავრ იარებო- და. ერთსა ადგილსა მივიდა. მუნ მგზავრთა ცეცხლი

¹⁾ სამუქფო — შესაფერი.

აენთოთ, და მათს წასკლას უკან ქარს გაებნივა და
კაჭაჭითა მოჰყიდებოდა, და ლამპრობასავით ხანძა-
რი ¹⁾ გაძლიერებულიყო. ზარ მოდებულს ცეცხლსა
შინა ერთი ასპიტი ²⁾ გველი დამწყვდეოდა და შერ
საით ვერ გასულიყო, და არას მხრით მორჩენის
იმედი არ ეპოებოდა, და, ვით თევზი ტაფასა შინა,
მოხრაკვასა და მწვადსავით ცეცხლზედ შეწვასა შიგა-
ხლებულ იყო; გესლისა ცვარი თვალთაგან სისხლის
ცრემლად სდიოდა. რა იყი აქლემოსანი ³⁾ კაცი ნა-
ხა, ხმა უყო და თქვა:

„რა იქმნება მომეხმარო, მოწყალებით შემივეღრო,
ამა ჭირსა მომარჩინო, გამიკეთო, ამივეღრო?

აქლემოსანი კაცი ლეთის მოშიში და გულ-
მოწყალე კაცი იყო. რა გველი შეჭირვებასა მყო-
ფი ნახა, შეჭირვებული და ულონო, თავის გუნე-
ბათა შინა იტყოდა: „თუცა გველია, ადამიანთა
მტერი, აწ რადგან ესრე შეჭირვებული და შეზა-
რებულია, ამის უკეთესს რასა ვიქ, რომე მასზედა
მოწყალებისა და შებრალების თესლი დავსთესო?
ვაცი სააქაოს ბეღნიერობისა და საიქიოს მოწყალე-
ბის კიდე სარგებელსა არა-რას მოგვცემსო, და არ.

¹⁾ ხანძარი—ცეცხლ - წაკიდებული ველი. ²⁾ ასპიტი—
გესლიანი. ³⁾ აქლემოსანი—აქლემზედ მჯდომი.

ცა მიწათა შიგა თესვა გვარეთია... მსე თქვა, და
ერთი მანდიკი¹⁾ ჰქონდა, ოროლისა წვერთა გა-
მოაბა და გველისა მიუპყრა. ზეელმა რა ღონის-
ძიების გზა ჰპოვა, მას მანდიკთა ჩაძერა, და აქლე-
მოსანმა ამა ხერხითა ცეცხლით გამოიყვანა, და
გველს უთხრა:

— აწ სადა გინდა, წადიო. რადგან ესეთსა
ფათერაკსა მოგარჩინე და ესეთისა ჭირისაგან გინ-
სენ, ერთის მხრისაკენ იარე და კაცთა ნულარ ავ-
ნებ, რომე კაცთა შემაწუხებელსა ამ სოფელს სა-
ხელი წაუხდება, და მას საუკუნოს მტერთ გულისა
გახდებისო.

ზეელმა უთხრა: „ჰი, კაცო! მე უმსგავსო
სიტყვა დაუტევე; ვირემ შენ და შენს აქლემს არ
უცემ, არა სადა წავალო.“ აქლემოსანმა უთხრა:

— მე შენზედ კეთილი საქმე ვყავ და ცეცხლით
გამოგიყვანე, აწ მუქაფად²⁾ მაგას მომავებო?

ზეელმან უთხრა: „შენ კეთილი მიყავ, მაგრამე
იგი სიკეთე ხამდა სხეისათვის გექმნა, და სხვა შე-
ჭირებისაგან მოგერჩინა და შეგეწყალებინა,—ესე
საქმნელი იყო. არა უწყია, ჩემის მტრის შხამი
ვარ? ადამიანი ჩემგან ერთსაცა სარგებელს არ

¹⁾ მანდიკი—ტომარა, პარკი. ²⁾ მუქაფად—საპასუხოდ.

ჰელულობის. მაში, ჩემსა შორიენასა რად ეცალე? ვის-თანაც სიაფე საქმინელია, მასთან სიკეთისა ქმნასა რას აქნევდო? აწ ერთი ვაება ხამს, რომე შენ გი-ძლვნა. სიკეთე რომე ავსა კაცსა ზედა ჰქმნა, მას შეედარება, თუცა ბოროტი კეთილსა კაცსა შეა-მთხვიო,—რა რიგადაც ჭკვათა მყოფელსა უთ-ქვამსო.

მსე გვართა-თანა სიკეთისა ქმნა არა ხამს, და ჰურიათა სჯულსა შინაცა სწერია ჩვენი და თქვენი საუკუნობამდე მტერობა, ჩვენგან თქვენი კბენა, და თქვენგან ჩვენის თაეის გატვინვა; ჩვენი თქვენ-გან ლტოლვა,¹⁾ და თქვენგან ჩვენი სიკედილი. ბრძანებულია, რომე ცოცხალი არ გავვიშვათ. აწ შენ ბრძანებულსა გარდახედ და დიდი ცოდვა იტ-ვირთე. მე მცნებას არ შეურაცხვყოფ და ამისთვის-ცა გიკბენ სხვათა დასანახავად .“ აქლემოსანმა უთხრა:

— ბველო, მოწყალება მოიღე!.. სჯულში არას ადგილს სიკეთის ნაცვლად სიაფე არა ჰქის, საჩვებლის ნაცვლად—ზიანი, და მოხმარების ნაც-ვლად—წყენა. მსეთსა საქმესა კეთალი ბოლო არა .. აქციო. ბველმა უთხრა:

¹⁾ ლტოლვა—გაქცევა.

— თქვენ, ადამის ტომთა წესი ეს არის: კუთილისა წილ ბოროტსა უზამთ. აწ მეცა თქვენს ნაქმარსა წესსა გიყოფ. რომელსაც მუქაფას თქვენ ბაზართა ჰყილით, მეცა თქვენ მოგყიდო.

ქაცისა მრავალსა ვეღრებასა გველი არ უსმენდა, და აღრე გარდაწყვეტასა ცდილობდა და ეტყოდა: „პირველად შენ გიცე, თუცა შენს აქლემსაო?“ ქაცი ეტყოდა: მრუდსა საგონისსა განეშორე, სიკეთის ნაცელად სიავე უბადო საქმეაო. ბეველმა უთხრა:

— ამა მუქაფასა მე თქვენისა წესითა შემოგზავო. მან კაცმან უთხრა:

— თუცა მოწმით დამატეხ, რომე ეგე საქმე ადამიანთაგან ქმნილიყოს, მაშინ ლა შენგან კბენასა სულითაც მოვიყიდი, ჩემს სიკედილსა თავს ვიდებო. ბეველმა მიღმა¹⁾ მინდორთა ერთი კაშბეჩი მძოვარი დაინახა, და უთხრა:

— მიეიდეთ მასთანა და ამა საქმისა სახე მართლობით მას გამოვკითხოთო. ქაცი იგი და გველი კაშბეჩთან მიეიღწენ, და ენოვანმა გველმა ჰყითხა კაშბეჩსა:

¹⁾ მიღმა — შორისაზღვრო.

— ჭიკეთის მუქათა რა არისო? ქამბეჩიშა უპე-
სუნა:

— მუკა ადამიანთა წესითა მკითხე, სიკეთისა
ნაცვლად სიავე იციანო. მსრე რომე, ხანსა რასამე
წელიწადთა შინა ერთსა ლოლოსა ვუშობდი, და
სახლი მისი რაითა და ერბოთი აფუვსე, მისის მორ-
ჭმის საფუძველი და საძირკელი ჩემის მიზეზით
იყო. რა დაებერდი და მოვბერწდი, ჩემი ნაკეთვა-
რი დაივიწყა, ბოსლით ვეღად გამავდო; და რა ხა-
ნი ერთი ძოვნითა და მოსევნებითა ჩემდა ნებისად
ვეტარებოდი, ცოტა რამ სიმსუქნე მომეცა. ზუშინ
ჩემმა პატრიანმა აქათ გამოვლო და მისსა თვალსა
პოხილად¹⁾ ვეჩენე. მრთი ყასაბი მოიყვანა და მას
მიმყიდა, და დღეს მას მიეკეთა დასაკლავადო. მსე
არს ჩემისა ესოდენისა ნაკეთვარისა მუქათაო?!

ზეელმა უთხრა: გესმა კაცო? აჟა, ჩემად საკ-
ბენლად გაემზადეო. მაცმა უთხრა:

— სამართალში ერთის მოწმით საჭმე არ დამ-
ტკიცდებაო. სხვაცა ვინმე იმოწმე და საწადელი
ალისრულეო. ზეელმა მიხედა, ერთი ხე რამე დაი-
ნახა და თქვა:

¹⁾ პოხილი — მსუქანი.

— მავიდეთ, მას ხეს ვკითხოთო!.. რა მას ხესთან მიგიღნენ, გველმა ჰკითხა:

— ქაცობის რცგით სიკეთის მუქაფა რა არის? ხემ უთხრა:

ადამიანთა წესითა სიკეთის ნაცვლად—სიავე, და სარგებლის ნაცვლად—დასაკლისიო. ამით სკან, რადგან მე ერთი ხე ვარ, ამა უადგილოთა ადგილს მავალთა კაცთა მოსამსახურე. ნიაღაგ ერთსა ფერჩთა ზედა ვდგევარ, რომე კაცი ვინმე ამა უდაბურია მაშერალი და სისხლ-შეშრობილი მოვიდეს, და გაუსვენო, და ჩემს ჩრდილს ქვეშე შეება მიეცეს. რა თვალთ აღახმენ ჩემთა რტოთა, რომელი ცულთათვის ტარად, სხვა ბარისათვის, სხვა ფიცრად და კარებად მინატრიან!.. თუცა ცული ახლავსთ, რომელიცა რტო მოუნდებათ—მომკვეთენ და ჩემის სიკეთისა პასუხად ესრეთ ჩემთვის მოინდომებენ!

გველმან უთხრა: ესე მეორე მოწამე, რომელმან დაამტკიცა. აწ კბენისათვის სიტყვა ალარ გაქვს რაო. ქაცმა უთხრა:

— სული ტკბილია და ძნელად გასაცემი, და სოფლით გასვლა საზარელი! თუცა ერთსა სხვასაც იმოწმებ, უცილოდ საკედავად თავსა მოგცემო. საკეირველად ერთი მელი დაინახეს, ახლორე დგა

და მათსა ცილებასა ისმენდა და მათსა სარჩელსა გულის სიღრმითა ჩხრეკდა. ზეელმა უთხრა:

— აპა, მელი, და ამასაცა კითხოთო, იგი რალა-
სა გვეტყვისო. მან კაცმა კითხვა დასწრო. მელმა
შეტუქსა და უთხრა:

— არა იცია, სიკეთისა მუქაფა ავი არისო?
შენ მაგა გველისათვის რომელი სიკეთე გიქმნია,
რომე ნაცვლად ტანჯვასა შემთხვევიხარო! მან კაც-
მა თვისი ამბავი ყოველივე უთხრა. მელმა უთხრა:

— ჰკვიანსა ვისმე ჰგავხარ და ეგეთი ტყუილი
ვით იკადრეო?

ზეელმან უთხრა: მართალსა იტყვის! ამა მან-
დიკათა ცეცხლისაგან გამომიყვანაო. მელმა შე-
რისხნა:

— მე ვით დავიჯეროო, ესრე დიდი გველი ამა
მცირეთა მანდიკთა როგორ ჩაეტივეო?! ზეელმა
უთხრა:

— თუცა არა სჯერხარ, აწ ჩაეძერები და თვა-
ლით ნახეო. მელმა უთხრა:

— როდესაც თვალით ვნახავ, მაშინდა დაეი-
ჯერებო, და თქვენს სწორსა სამართალს მაშინდა
ვიქმ, რომელსა შინა მიღვომა, და შემწეობა და
სიჭიშპისა ცაჭმე არ ერიოსო. ქაცმა მანდიკსა პირი

აულო, და გველი, მელისა ქარითა ალალებული, მანდიკა ჩაძერა. მელმა მას კაცა უხმო:

— მა, რა შენი მტერი გაბმული ნახო, ხან-თა ნულარ აყოვნებო!

მაცმან მან მანდიკა პირს მოჰკრა, და მიწასა ზედა ესოდენი აწყვიტა, გველი სრულიად გაგალა, და მისის გესლისაგან მორჩა, და ერნი მისის შიში-საგან დამშვიდდენ.

მონადირე და მეჯი.

ერთსა დღესა ერთი და ცქვიტი მელი მინ-დორთა შინა ჩქარად ვიდოდა, ხლოტოდა და ყოვლ-გნით ცაქცაქებდა. ნახა მონადირემან უინმე, და მისი ბეწვი დია მოეწონა, და ძეირ ფასად გასყიდ-გასა იგონებდა. სიხარბისა ძალმა იმედზედ დაყენა, რომე იგი შეეპყრა. რა მელმა კაცი ნახა, სორო-თა შიგა შეიჭრა. მონადირე უკან მიჰყეა, მისი სო-რო ჰპოვა და სოროთა პირსა ერთი ორმო ჩაუ-თხარა, ზედ კაჭაჭი წაბურა და ზედან მძორი რამე დაუდეა, და იგი შორი-ახლო მიფარებით დაუდგა. მის მელის ამ საქმით დაჭერასა ელოდა. მელი სო-როთ გამოეიდა და მის მძორისა ნათრევს სუნითა მოჰყეა, ორმოსა პირსა მოადგა. რა მძორი ნახა, თქვა: „ამა მძორისა სუნისა ნდომა საყნოსელთა

ესუნელება, მაგრამე ჭირისა სუნი ჩემთა ცხვირთა ეცემის! რა ჭიუა უფალნი ერთისა რისამე ახლო-
რე შიშისა გულობდეს, არა მივლენ მუნ; მცოდი-
ნარეთა, რომელთაცა საქმეთა შინა საჩხუბარია რა-
მე გულვებიათ, აღარა უქმნიათ.

აზრი იკრა და თქვა: „იქმნების აქა ნადირი რა-
მე მომკედარიყოსო, და ესეცა ქმნილა, მის ქვეშე
საფრხე რამე შეემზადასო? პოველთა საქმეთა ზედა
სიფრთხილე უმჯობესია.“

მელი ამ რჩევაზედ დაემტკიცა, და მის მძო-
რისაგან ხელი აიღო, და სიცოცხლის გზაზედ გაი-
რბინა. ამაზედ ერთი მშიერი ვეფხვი მთით ქვე ჩა-
მოვიდა, მძორისა სიმყრალე ესუნა, მიიჭრა და მას
ორმოსა ჩავარდა. რა მონადირეს ორმოს საფარის
ჩაქცევისა და შიგ ჩავარდნის ხმა ესმა, მას მელის
ჩაჭრა ეგონა, მეტის ნდომით სიჩბილში ფერის შე-
უცდა და თვითაც ორმოთა ჩავარდა. ვეფხსა მძო-
რისა მაცილებელი ეგონა, შეება და უპე ۱) გაუპო.
მონადირე სიხარბითა და მეტის ნდომითა სიკვდი-
ლის საფრხეთა გაება. თვისის სიხარბის მოკვეთითა
და ცოტას მოთმერითა შელი ჭირისა და ვაებისაგან

1) უპე—ჭიპი.

გარდარჩა. ამა არაკისა სარეგბელი ესე არის, რომ
უნდა იცოდეს, სიხარბე, შური და ქიშპობა, თავის-
უფალსა მონად და ნასყიდად შეიქმნა.

დომი და კურდევლი.

ბალდალის სიახლოეს კოლინდარით ¹⁾ მოცუ-
ლის სამყოფი იყო, მისგან ნიავსა ყოველგრით სა
მოთხის სუნნელება მიჰქონდა და შაშპრათა ²⁾ ელ-
ვარება მბრუნავისა ცის თვალთა გაანათლებდა;
ყოველთა ყვავილთა რტოთა ათასი ვარსკვლავი
ესხათ, და თითოსა ვარსკვლავის თავთა ცხრა-ცხრა
მფრინველი დაფრინვიდა.

მას კოლინდაროვანთა სამყოფთა შინა იყო
ნადირთა სიმრავლე, ჰერ-კეთილობისა, შეებისა და
მრავალ-წყლიანობისათვის მათ დროთა და ჟამთა
სიხარულითა და ვანსვენებით აროვინებდენ. მის
ახლორე ერთი მძვინვარე და მათი შემაჭირვებელი
ლომი მყოფობდა, დღე-ყოველ საუბედუროს პირს
მათ საბრალოთ უჩენებდა; მისგან ლხინი და სი-
ცოცხლე დამწარებოდათ. მრთსა დღესა შეკრბენ
და ლომსა-თანა მივიდენ, ტიროლითა და ცრემლით

¹⁾ კოლინდარი—ბალაზია ერთგვარი.

შევედრნენ: „ჭი; ხელმწიფევ! ჩვენ შენი გლეხნი
და მოსამსახურენი ვართ; თქვენ ჩვენთვის დღე
ყოველ მრავალსა ირჯებით, დიდის შრომითა ჩვენ-
გან ერთსა თუ ინადირებ! ჩვენ შენისა შიშითა
ჭირის მორცეთა ჩაცვივნულ ვართ, და თქვენ ჩვე-
ნისა ძებნოთა შელონებულ! აწ ჩვენცა გიაჯებით:
თქვენცა განსვენებით ბრძანდებოდეთ, და ჩვენცა
მშეიდობა გვიბოძე. ამა პირითა, თუცა სატაცებლად
ჩვენდა არ დაშვრე და აღარა გვაშთოთებდე, —
დღითი-დღე ჩვენ თვითო ნადირი მოვიძლვანოთ.
ბეგარად დავიდებთ, რომე არასა დღესა არ მოვა-
კლოთო.« ლომი ამაზედ შესჯერდა, და მათცა
ესრე გააწესეს: დღე-ყოველ წილს გააგდებენ, და
რომელსა ნადირზედაც აღმოხდის, ერთსა მათგანსა
მიუძლვნიდენ. ერთ-ხანად ესრე წარელო, და ერთ-
სა დღესა კურდღლისა სახელი წილთა შინა აღმო-
ჰხდა, და მოსაფალმან საბრალო იგი ჭირის ისრის
საგნად შემზადა. მან კურდღლელმან აშშანაგთა უთ-
ხრა: თუცა მცირესა მაღროებთ, მე მის უწყალოს
ხელითგან გიხსნითო. მათ უაში რამე აღროვეს. კურ-
დღლელმან მანობამდე დაიცადა, რომე ლომისა სა-
დილობამა გარდაელო. ლომსა შიმშილი აეშალა
და ნადირთა ზედა წყრომითა კბილთა იმტკრევდა.
კურდღლელი მისკენ სიწყნარით წავიდა. იგი მეტად

განრისხებულ იყო და შიშშილის ცეცხლისა ქართა აღმჯდარ იყო, წყრომისა და რისხვის ელვა აღმორგებისა მოსლვით ჰკრთებოდა.

კურდლელმა რა ლომი აღმორგებით ცეცხლის მყრელად ნახა, რომე კუდსა მიწათა სცემდა, და ნადირთა პირობისა გატეხისა და დაუნდობლობისათვის სწყრებოდა, მოკრძალვით წარდგა და თაყვანი სცა. ლომმა ჰკითხა, საიდამ მოხვალო, და ანუ ნადირნი რას იქმონენო? მან მოახსენა:

— მე ერთი სხვა კურდლელი გამომატანეს, რიგისაებრ, ბეგარივითა განაწესო, და ერთი ლომი ვინმე გზაზე მომეწია, და კურდლელი იგი მან წამგვარა. რაოდენცა ვეჯე ნადირთ-ხელმწიფის სადოლია, მისთვის ძლვნად მიმყაეს მეთქი — არა მისმინა, და ეკრე მითხრა: ესე სანადირო ჩემია, და ესე ტყე ჩემი სამკვიდროო.

ხელმწიფევ, ესოდენი თავის ქება თქვა და მუქარობა დაიწყო, და ძალსა და ძლიერებასა იქადა, — მე დიდად შემეშინა და გამოპარვით მოვრბი, რომე ესე ამბავი მზესავით შუქ-განფენილს ჩეენს ბრძენს პატრონს მოვართვა. მშეერს ლომს ყრმის ჭკვა მოუვიდა.

მერმე კურდლელს უთხრა: შეგიძლია რომე იგი მიჩვენოო, და მე მისგან ჩემი და შენი შური

ეიძიო. პურდლელმა ჩეენების სიადგილე შოახსენა, და ესეცა დაურთო: მე რომე მისგან ხელმწიფე უკადრისად და ურიგოდ ნახსენები ვნახე, თუკა შემძლებოდა მისსა თავისა ბანაკთა ველთა მიწათა გავასწორებდიო.

მსე თქვა და წინ წაუძლეა, და ლომი მისის საცოტურითა საესეს სიტყვით გაზვავდა და უკან შეუდგა. პურდლელმა ლომი იგი ერთისა ჯურლმულისა პირთა მიიყვანა, რომე მისი წყალი კამკამებითა, ჩინელთ სარკესავით, სახესა სწორედ აჩეენებდა, ცდუნებისა და ხერხის მაგალითსა და ხატსა ანდაზის მსგავსად დასთვლიდა.

და შოახსენა: ჩეენი მტერი აქ არის ხელმწიფეო, და მე მისგან დიდად მეშინიან და მარტო ვერ მივალ, და თუკა ხელთ ამიყვან, მაშინდა გიჩვენებო. ლომშან უსმინა და ხელთ აიყვანა. რა ორ-მოს ჩაიხედა, თვისი სახე დარჩახა. მას ესრე ეგონა იგი სხევა ლომია და ჩემი სასაღილო კურდლელი უპყრიაო. გამწყრალმა კურდლელი უკან აგდო, და ორმოთა შიგა ჩაიჭრა, და ორისა დაღუპითა მისი სისხლისა მსმელი სული ჯოჯოხეთსა მიანდო. პურ-დლელი მშეიღობით შემოქცეული მივიღა და ნა-დირთ უამბო, და მათ ლმერთს მაღლობა შესწირეს,

და მისთვის ნიადაგ ილოცვიდნ, და სიცოცხლის
წალკოტთა ფამთა და ღროთა ავლენდეს.

ბრიუგი და შზაგვარი.

ორნი ამხანაგნი იყვნეს: ერთი იგი ბრიუვი და
მეორე შზაკვარი¹⁾ და მეტად ხერხიანი, რომელი
ას-ას რიგითა მღერითა წყალზედაც გაირბინის,
რომელსა სახელად „თის-გუშა“ ერქვა, და მეორე-
სა, რომელი თავხელი იყო, რომელსა სარგებლისა
და ზიანისა ეგოდენი გამოწვლილვა არა ჰქონდა,
„ხურმა-დილი“ ეწოდა. მათ ორთავე მგზავრობა
მოინებეს, და ერთად საამხანაგოდ საფაჭროდ გაე-
მგზავრნენ, და გზისა და სელისა შემოკლებასა სწრა-
ფობდენ. ამა სელათა შინა გზათა ზედა ერთი გუ-
ლა ვეცხლი ჰპოვეს, და სარგებლად მას დასჯერდენ.
მან შზაკვარმა ამხანაგმა უთხრა:

— ძმაო, სარგებლისათვის მრავალნი ვაჭარნი
დადიან, და, თუცა შეწყა ვნებაეს, ამ ხელად ჩვენ
ამ ერთს გულა თეთრს დავსჯერდეთ, შინასკენ შე-
ვიქცეთ და შეებით განვისვენოთო.

¹⁾ შზაკვარი—კაცი, რომელიც პირით სიყვარულს იჩემებს
და გულით კი ბოროტი არის.

ამაზე შეიქცენ და ქალაქთა მოეწურნენ. მრთვა
სა საგანეთა გარდახდენ. მან ბრიყვმა კაცმა უთხრა:

— ძმაო, ეს ვეცხლი გავიყოთ და ეჭვისაგან
გამოვიდეთ, და ჩვენ ჩვენი წილი, ვითა გვინდეს,
ვიხმაროთო. მან მზაკვარმა უთხრა:

— აწ გაყოფა რა სარგებელია, ეს აღენი ამოვილოთ, რადეცა აწ სახარჯოდ გვინდა, და სხვა გაკრძალვით ერთსა ადგილსა შევინახოთო, და როდესაც დაგვეჭიროს, რა ერთიცა გვინდეს, ამოვილებდეთ, და სხვას აგრევ დავმარწევდეთო, რომე ჭირის რიდება სიცოცხლის მოწვევა არისო. თავედი იგი ამა საუბრითა მოტყუფდა, და ესე პირი დასკენეს. რაოდენნიცა ენებათ, ამოილეს და სხვა იგი ერთისა ხისა ძირთა დაფლეს, და იგინი ქალაქად შევიდეს და დაისადგურეს.

შამოვიდა იგი მოხერხე ამხანაგი, მის ხის ძირიდამ თეთრი მოთხარა, ამოილო და წაილო. იგი თავედი ამხანაგი, ამისი უმეტარი, რაცა თეთრი ხელთ ეგდო მას გამოზოგებით ხარჯევდა. რა დაელია, მივიდა მას მზაკვარს მოყვასსა თანა და ეტყოდა:

— შამოდი, მის ჩვენისა დამარხულთაგან ცოტა

რამ ამოვილოთ, რომე აღარა მაქვს რა საზრდელოდო. მან პრეჭა:

— ქეთილად მითხარ, ეგრე ვქმნათო! რა ორნილე მას ხესთანა მიყიდეს, თხარეს, ეძიეს და ვერა რა ჰპოვეს. მან მზაკვარმა ხურმადილს ხელით საყელო სტაცა და ეგრე უთხრა:

— მსე საქმე შენგან კიდე არავინ იცოდა, მაშა, შენ მოგიპარავსო! მან უბრალომ, რომელმა არა რა იცოდა, ჰფიცვიდა, და მან არა უსმინა. მათ შუღლი გამოერივათ. მზაკვარმა უთხრა:

— მაჟო, რად კიბრძეით, ბრჭემ გეღსამართლოსო! ამა საქმითა დაზავდენ და ბრჭესთანა მიერდნენ, და მან მზაკვარმან ყოველიფე ბრჭესა რიგიან გაასინჯა. ხურმადილ იგი ივარქმა. ¹⁾ ბრჭემ მოწამე ითხოვა. თისგუშიმ უთხრა ბჭესა:

მე მის ხის კიდე, რომლისა ძირსა ვეცხლი დამარხულ იყო, სხეა მოწამე არავინ მიერს. მაქვს იმედი მაღლისა ლვთისაგან, ტვისის ძლიერებითა მას ხესა სწორედ ათქმევინოს. რომელსაც უზენაროსა და ორგულსა მპარავსა ვეცხლი იგი წარუხვამს, მას ხესა ამთხრობლობინოსო. ბრჭესა ესე საქმე დიდად გაუკვირდა, და მრავალი რამ მოიუბნეს, და ესე პი-

¹⁾ ივარქმა — უარ ჰყო. ვარქმი — უარ-ყოფა.

რი დაასკუნეს: შეურესა ფლესა მას ხესთან მიეიღ-
ნენ, რათა მას მართალი მოწმობა გამოჰყითხონ,
და რაცა მან ხემან სამოწმებელი თქვას, მისდა
გურად ისამართლონ. მას ლამესა მზაკვარი იგი კა-
ცი სახლად თვისად მიეიღა, და ყოველივე მამასა
თვისსა უაშბო, და სირცხვილის საბურჯელი პირი-
დამ აიხადა და უთხრა:

— მამაო, შენითა მინდობითა და საქმითა იგი
ხე დავიმოწმე, და შენისა ზურგისა სიმაგრითა ხრი-
კისა ნერგი ბრჭისა სამართალსა შინა დაშირგავს,
და ესე საქმე შენსა მოწყალებათა ზედა მიმიდრა. თუცა შენ შემეწევი, თეორი იგი ჩვენ დაგვრჩების,
და იმოდენსა სხვასაც გამოვართმევო, და ჩვენი და-
ნარჩომი სიცოცხლე შეებით და განცხრომით წარ-
ვლოთო. მამასა უთხრა, მის ხისა გული ფულური
არის, მას შინა ორი კაციცა დაითარება, რომე გა-
რეგნით არა იხილვებოდეს. აწე ესე ქმენ: ამალამე
წალი და მას შიგა შევედ, და ხეალე რა ბრჭე მო-
ვიდეს და ხესა სიტყვა ჰყითხონ, მის მავიერ, ვითარ
ხამდეს, იმოწმეო. მამამ უთხრა:

— შვილო ხერხსა და ეშმაურსა საქმესა განე-
შორე, თუმცა კაცი მოატყუვო, ღმერთი არ მო-
ტყუვდებისო.

რომელიც ხერხი საცოდავია, მისი შექაფა მისს

შოქმედსა შალე მიეგების, და სირცხვილი საქვეყნოდ
დაედების. მე მეშინის, შენი ხრიყი მის მყვარისა
ხერხებრ არ შეიქმნასო. შვილმა ჰკითხა, როგორ
ყოფილაო?

გ უ დ ა რ ი (გაგრძელება)

უთქვამსთ, ერთს მყვარისა გველისა სიახლოვესა
სორო გამოეთხარა, და მის უწყალტოსა და სისხლის
მსმელისა მეზობლად დაბუნაგებულიყო. რა მყვარი
შვილთა დაზრდიდა, გველი დაუჭამდა და შვილთა
სიმწარის დაღითა გულსა დაუდალევდის. მყვარისა
მას ერთი კიბორჩხალი მეგობრად ჰყეა. მრთსა დღე-
სა მას კიბორჩხალთან მიეიღა, შესჩივლა და ეტყო-
და: „სასურველო მოყვასო, ერთისა რჩევისა მოქე-
ნე ვარ, რომე ესეთი მტერი ამიჩნდა, არცა მისი
ახლორე ყოფა ძალა-მიძს, და არცა მის ადგილისა
დატევება. რადგან მუნ დავეშენე, მისი გაშვება მი-
ჭირდება: დაა შეენიერი ადგილი და გულის სამოვ-
ნოა! მსეთი წალკოტია,¹⁾ მისი მწანვილი სამო-
თხისა წალკოტის მწვანვილსაეით სიხარულსა ჰმა-
ტებს: გულისა კართა გამღები, სუნნელებითა აღსავ-
ეს და მუშკთა ²⁾ და ამბართა ³⁾ მაყნოსებელი.

¹⁾ წალკოტი—ბალი. ²⁾ მუშკი—Myskycs, სუნნელებაა.

³⁾ ამხარი, ამბრი—Ambara, სუნნელებაა ერთგვარი.

ესეთსა საყოფელსა თვისითა ნებითა ვინ და-
აგდებს, გულსა სამოთხის ნიშთა¹⁾ ვინ მოიშორ-
ვებსო?

პიბორჩალმა უთხრა: ნუ ზრუნავ, ძლიერი
მტერი ხრიკის საბლითა შეიკერის და ეშმაურობისა
მახეთა შიგა გაებმისო.

მყვარმა უთხრა: ხერხთა წერილთაგან ამა საქ-
მისა სახის კართა ვრთარ გააცვამ, და ამ მტერისა
მოშორებასა რომლითა მიღონის-ქიებო? პიბორ-
ჩალმა უთხრა:

— „აქ ახლოს ერთი ძლარბი არის, და მო-
ჩხუბარი და მძვინვარე. შენ თევზთა შეიპყრობდე
და სოროთა მათ პირთა დასდებდე, და რა მის ჭა-
მასა შეეჩიონ, მერმე მის ძლარბის სოროდამ გვე-
ლის სორომდე თევზი დაწყევ, ძლარბი მის თევზის
ჭამითა გველისა სოროსთანა მივა, და იგი მისსა
საქმესა გააგებს, და შენ მის გველისა შიშსა და
ჭირსა მორჩებიო. მყვარმა გასინჯა ესე სწავლა—
სიბრძნისა ყდითა შეკინძული იყო. მერე ქმნა:
გველი იგი მოკლა. რა ორი სამი დღე გამოხდა,
ძლარბს თევზის ჭამა მოაგონდა და ძებნად გამოვი-
და. სადაცა ჩვეულ იყო, მასვე გზასა მომართა, რო-

¹⁾ ნიში—ნიშანი.

შელი პრეზენტ საწადლით გაეზომა, მასცე მიეღევენა. თევზი ეერა კპოვა, მყვარისა კართა მივიღა, მყვარი ღლაპებით დაჭამა.

ესე არაკი ამისთვის მოვაწყევ: ხერხისა ბოლო მახეა თვისის თავის დასაჭერი, საცოტური; ბოროტი დღეა, კლდეთა გარდამაჭრუნებელი.

შვილმა უთხრა: მამაო, სიტყვა მოამოკლე და გამოძიებათა გაფრძელება მოჰკვეთე. ამა საქმესა ცოტა ჭირი და მრავალი სარგებელი მოაქვს ბოლოდო. საბრალო ბერი კაცი იგი, შვილისა სიყვარულმა და საქონლის ნდომამ, რჯულისა და სასოების პატიოსნით სადგომით უწყალობისა და სიხარბის. მინდორთა გაიყვანა. მოთმინებისა სიმტკიცე მოუსუსტდა, უსასობისა და ანგარებისა ქარტა¹⁾ შორისაბა ღვთის საწყენი და კაცთა გასაშორებელი საქმე კისერთა დაიდგა, და მას ძნელთა ღამეთა გშიშრეულითა გულითა სელად იწყო. მის ხისა ფულუროთა შინა შეძერა, და რა გათენდა და დილის სინათლის ბრჭემა თეისი ცოდნა ქვეყანად მოჰტინა, და მზე ცისა სიშავესა მიაღვა და ღამისა წყედიადი თემთათეის დღედ გარდაიქცა, მან ბრჭემანცა თვისი საქებურნი მოხუცებულნი და თავის

¹⁾ ქარტა—ქალალდი.

მსახურნი წაიყვანნა და მის ხესა ძირს მიეიღა. მრავალი ჯარი ჭირეტად გამოვიდა და გარ ყოლბად მოადვა. ბრჭემა პირი ხისაკენ ქმნა, მათი სარჩელი მოისმინა. მეტმე მათი საქმე და გაჩენა მას ხესა ჰკითხა. რა ბრჭე დადუმდა, მის ხიდაშ ხმა გამოისმა:

— ვეცხლი ხურმადილმა წაიღო... თისგუშს, მის ამხანაგს, უსამართლო სჭირანო. ბრჭე დიდად გაჰყეირდა; გონებათა შინა იტყოდა: ნუ თუ, ამ ხესა შინა კაცი ვინმე ჯდესო, და მის გამოჩენას რჩევა უნდაო.

მას უკან მრავლისა შეშინა მოლება ბრძნა, და მის ხეს გარ მოწყობა და ცეცხლისა შეაება. რა ესე ქმნეს და ცეცხლი აღედეა, მისის უგურუ-რეზისა და უმეცრებისა კვამლი მისის სახლის კარი-ლაშ გამოადინეს. საბრალო ბერმა კაცმა რა მცირე მოითმინა, სულთ ამოსვლაზედ მიეწურდა, მაშინვე ხმა ჰყო. ბრჭემ მისი გამოყვანება ბრძანა და მი-გან ყოველი გამოიკითხა. ცეცხლით შეჩრუსტეილ-მა კაცმან ყოველივე გარჩევით მოახსენა. ბრჭემა იგი საქმე სწორად შეიგნა. ხურმადილისა ხელ-მოკლობა, სიწრუელე, და თისგუშის მწაკეარება და სიბოროლე, ყოველთა კაცთა ცხადად დაანახეა. მა-შინვე იმ საბრალო ბერმა კაცმა ავ უხანო საწუ-

თროს სიცოცხლის სამოსელსა საიქიოს ჭიდვა და-
უწყო, და ამ სოფლის ცეცხლის სიმხურვალითა
საუკუნოს ცეცხლისაკენ პირი ქმნა და ჩაკვდა.
მისმა შვილმა, სირცხვილეულმა, მკედარი მამა აი-
კიდა და ქალაქისაკენ წავიდა. და ხურმადილმა,
თვისი სიმართლის მინდობილმა, სწორისა სიტყვი-
თა ვეცხლი იგი შემოიქცია, და თვისის საქმის გა-
გებად გაემართა.

ამა არაკისა სარგებელი ესე არს, რომე ყო-
ველმან კაცმან სცნას, ხერხი და საცილური თუკა
პირველ მოსაწონია, ბოლოდ კაცისა დამწეველი და
დამდაგველიაო.

